ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

**ბუკიკიო: „პროპორციული სისტემის გადავადებით იმედგაცრუებული ვარ“**



გვ.2

29 ივნისიდან
ონორე დე ბალზაკი
ოცდაათი წლის ქალი
ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი



ხუთშაბათი, 29 ივნისი, 2017 №152 (7387) ფასი: 50 თეთრი

# „ოცნებას“ უდუმაშვილის ეშინია“



გვ.3



**ლადო სადღობელაშვილი:** „ვაი კალაძეს და ვუი „ოცნებას“, თუ ივანიშვილი საარჩევნო კამპანიაში არ ჩაერთო“



## „დეკანოზ გიორგი მამალაძეს სასულიერო პირის ტანსაცმლის ჩაცმის უფლებას არ აძლევენ“

გვ.5



გვ.2

## რომან გოცირიძე: „როგორც ხანუმაში ქორწილის ღამეს პატარძალი შეცვალეს, ასე შეგვიცვალეს კონსტიტუცია“

გვ.2





## საგარეო უწყებამ იოსებ ოსორაულის ბედის გარკვევა დაიწყო

გვ.2

## პოროშენკო საქართველოში ჩამოდის, სააკაშვილი უკრაინიდან გარბის?

გვ.5







გვ.4

## თინათინ ბოკუჩავა: „ქართული ოცნება“ საარჩევნო დაპირების შესრულებაზე უარს ამბობს“

ISSN 1987-9385

# რომან გოცირიძე: „როგორც ხანუმაში ქორწილის ღამეს პატარძალი შეცვალეს, ასე შეგვიცვალეს კონსტიტუცია“

ნონა ცაბაძე

შეიქმნება თუ არა პარლამენტში საგამოძიებო კომისია აფგან მუხთარლის საქმეზე? მოხდა თუ არა უმრავლესობაში დაპირისპირება ამ საკითხთან დაკავშირებით? რის თქმას აპირებს ნაციონალური მოძრაობა ვენეციის კომისიის ხელმძღვანელისთვის? – „ახალი თაობის“ ამ და სხვა კითხვებს ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე რომან გოცირიძე პასუხობს.



***– საპარლამენტო უმრავლესობაში აზრი ორად გაიყო აზერბაიჯანელი ჟურნალისტის აფგან მუხთარლის საქმესთან დაკავშირებით. ნაწილი გამოძიებით უკმაყოფილოა და საგამოძიებო კომისიის შექმნას მხარს უჭერს, ნაწილი არ უჭერს.***

– თუ უმრავლესობაში არსებობს დაპირისპირება, ეს შეგვიძლია ჩავთვალოთ ჯანსაღ პროცესად, მაგრამ არა მგონია, ასე იყოს, ვინაიდან იქ საბოლოო გადაწყვეტილებას ღებულობს ერთი ადამიანი და ჯერ არ არის წამოსული ზემოდან სიგნალი. არიან დაბნეულები, პოზიცია მთლად უფროსისა გაურკვეველია. ამბობენ, რომ მასთან კონტაქტებიც შეწყვეტილია ამა თუ იმ მიზეზის გამო. მუხთარლის საქმე არის საერთაშორისო დანაშაული.

***– და ვინ არის დამნაშავე, ხელისუფლება?***

– დამნაშავე არის ის, ვინც ეს დაგეგმა და შეასრულა. თუმცა არანაკლები დამნაშავე არიან ხელისუფლების ის წარმომადგენლები, რომლებიც ამ ხნის განმავლობაში ხელს აფარებდნენ დანაშაულს. იგულისხმება ყველა მაღალი რანგის პოლიტიკური პირი. ადრე თუ გვიან, როდესაც ხელისუფლება შეიცვლება, ისინი აღმოჩნდებიან განსასჯელის სკამზე. ცინიკურია, როდესაც ჩვენ ამ სკანდალურ თემაზე ვსაუბრობთ, განიხილება მიხეილ სააკაშვილის ე.წ. პიჯაკების საქმე. აღმოჩნდა, რომ სახელმწიფო დაცვის სამსახურიდან სააკაშვილის შემდეგ, ივანიშვილის პრემიერმინისტრობის დროსაც, ზუსტად იგივე ფორმით ხორციელდებოდა ხარჯები.

***– რას გულისხმობთ?***

– ამ შემთხვევაში მე ხაზს ვუსვამ იმას, რომ უკანონოდ ახორციელებდნენ ივანიშვილის დროს ამ ხარჯებს. ხარჯები არის იდენტური.

***– ეს ინფორმაცია ვინ მოგაწოდათ?***

– პროკურატურას მოუვიდა შეცდომა და ნაცვლად იმისა, რომ გამოეთხოვათ სააკაშვილის დროინდელი ხარჯების ჩამონათვალი, შემთხვევით მიაყოლეს შემდეგი პრემიერის. დღეს ეს საქმე სკანდალურია. სასაცილოა, როდესაც სააკაშვილის პიჯაკების, საპნების და ტანის ღრუბლის ხარჯებს ითვლიან იმ ფონზე, როდესაც საერთაშორისო მნიშვნელობის დანაშაული იქნა ჩადენილი.

***– მუხთარლის საქმეს გულისხმობთ?***

– დიახ. დანაშაული, რომელზეც ლაპარაკობს მთელი მსოფლიო, ლაპარაკობს ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, ევროკავშირი, მიღებულ იქნა შესაბამისი რეზოლუცია. ზეწოლაა საქართველოს ხელისუფლებაზე, რომ ეს საქმე იქნას გამოძიებული და ამათმა კი მუხთარლის საქმის ფირები და მტკიცებულებები გაანადგურეს. ამ დანაშაულში მონაწილე ყველა პირი უმკაცრესად იქნება დასჯილი! მათ შორის ყველა სახელმწიფო თანამდებობის პირი. ჯეჯელავათი დაწყებული, მთავრობის სხვა წევრებით დამთავრებული, რომლებსაც ამა თუ იმ ფორმით მიუძღვით წვლილი დანაშაულის დაფარვის ხელშეწყობაში!

***– ჯეჯელავა ორიოდე დღის წინ ოფიციალური ვიზიტით აზერბაიჯანში იმყოფებოდა, შეხვდა ალიევსაც, თუმცა შეკითხვაზე, ისაუბრეს თუ არა მუხთარლის საქმეზე, მან განაცხადა, რომ ამ საკითხს არ შეხებიან.***

– ჯეჯელავას არ აქვს იმის უფლებამოსილება, რომ ილაპარაკოს მსგავს თემებზე საერთაშორისო დონეზე. მას უბრალოდ იყენებენ შიდა რუპორად და ხანდახან თვითონაც ცდილობს, რომ საკუთარი მოსაზრებები გაახმიანოს. ჯეჯელავა ვერ ხვდება, რომ ის არის გამოუცდელი და ყოველი მისი სიტყვა არის მორიგი აღიარება დანაშაულისა, რომელიც დაუხვდებათ წინ!

***– ანუ არ შეიქმნება საგამოძიებო კომისია, თუ არ მოვიდა ივანიშვილის დასტური?***

– არა, არ შეიქმნება. ჩვენ ყველანაირად შევეცდებით ამ კომისიის შექმნას, მხარს დავუჭერთ და ამით კიდევ ერთხელ ვამხელთ ამ ხელისუფლებას, რომ ისინი ადგანან დროის გაწელვის ტაქტიკას და უნდათ, რომ ეს საქმე მიეცეს დავიწყებას. სანამ მუხთარლი ციხეშია, ხელისუფლების თავზე დამოკლეს მახვილივით ჰკიდია ეს საქმე. როდის გაწყდება ეს ძაფი და ვის დაეცემა, დრო ამასაც გვაჩვენებს.

***– ვენეციის კომისიის ხელმძღვანელი ჩამოვიდა თბილისში. მას ხვდება როგორც საპარლამენტო, ისე არასაპარლამენტო ოპოზიცია, არასამთავრობოები. რა მოლოდინები გაქვთ?***

– ხელისუფლებამ ვენეციის კომისია მოატყუა, ისევე, როგორც მთელი ქართული და საერთაშორისო საზოგადოება. დაატარებდნენ სოფელ-სოფელ რაღაც კონსტიტუციას, შემდეგ გააგზავნეს ბერლინში, შემდეგ ვენეციის კომისიაში და პარლამენტში განსახილველად შემოიტანეს სულ სხვა კონსტიტუცია. ზუსტად ისე მოხდა, როგორც ხანუმაშია, ქორწილის ღამეს რომ პატარძალს შეუცვლიან, ზუსტად ასე შეგვიცვალეს კონსტიტუცია. ერთი კონსტიტუცია, არც ისე ლამაზი, აჩვენეს სიძეს, ანუ ვენეციის კომისიას, მის თავმჯდომარეს და შემდეგ ეს შეცვალეს გაცილებით მახინჯი პატარძლით. შენარჩუნდა მაჟორიტარული სისტემა.

***– შეიცვლება შემდეგი არჩევნებიდანო.***

– 8 წლის შემდეგ რაღაცას ცვლიან, ეს არაფერს ნიშნავს. 8 წლის შემდეგ ეს ხელისუფლება ან იქნება, ან არა. ან ვირი მოკვდება, ან ვირის პატრონი. უახლოეს საარჩევნო პერიოდში კონსტიტუცია გაუარესდა. დარჩა მაჟორიტარული და პროპორციული სისტემა და 2018 წლიდან აიკრძალება პრეზიდენტის პირდაპირი არჩევნებიც.

***– დაიწყო წინასაარჩევნო კამპანია. პრეზიდენტმა სავარაუდო თარიღი დაასახელა, რომ ეს იქნება ოქტომბრის მესამე კვირა. რა შანსები აქვს თქვენს კანდიდატებს და რამდენად თანასწორი იქნება ეს ბრძოლა?***

– ბოლო ერთი კვირის განმავლობაში არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ სოციოლოგიურ გამოკითხვაში დიდი უპირატესობით არ გაემარჯვოს ზაალ უდუმაშვილს. ანუ ეს იყო მეტეორივით შემოჭრა ახალი სახისა საქართველოს პოლიტიკურ სივრცეში. ეს ხალხმა დააფასა. ეს არის განახლებული ნაციონალური მოძრაობის სიმბოლო.

***– თუმცა სამშაბათის გამოკითხვის შედეგების მიხედვით კალაძე ლიდერობდა...***

– ერთადერთი გამოკითხვა, სადაც ზალიკოს კალაძემ მოუგო, იყო სამშაბათს, ტვ პირველზე, ინგა გრიგოლიას გადაცემაში. აქაც სოციალურ ქსელში გავრცელდა კადრები, თუ როგორ იყვნენ საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში საკრებულოს და გამგეობის წევრები მობილიზებული და როგორ აძლევდნენ ხმას მობილური ტელეფონით კახი კალაძეს. ერთ-ერთი ასეთი ფოტო ზუგდიდის გამგეობაშია გადაღებული, მთელი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები როგორ ისხდნენ და როგორ ამესიჯებდნენ მობილური ტელეფონებით.

***– ეს ფოტო როგორ ჩაგივარდათ ხელში?***

– იქ აღმოჩნდა ჩვენი მომხრე, რომელმაც ამ პროცესს გადაუღო ფოტო და ამხილა ეს ხელისუფლება. სერიოზულად კომიკური ხასიათი შეიძინა კალაძისადმი ასეთმა მხარდაჭერამ. ხელისუფლება სერიოზულ საგონებელშია ჩავარდნილი. ჩვენ ამ ხელისუფლებას, ოქტომბრის არჩევნებისგან განსხვავებით, ნამდვილად არ მივცემთ არჩევნების გაყალბების საშუალებას. ხალხი ყველაფრის ფასად დაიცავს თავის ხმებს!

## ბუკიკიო: „პროპორციული სისტემის გადავადებით იმედგაცრუებული ვარ“



საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა ვენეციის კომისიის პრეზიდენტმა ხმაურიანი განცხადება გააკეთა.

ჯანი ბუკიკიო აცხადებს, რომ მაჟორიტარული სისტემის 2024 წლამდე გადავადებით იმედგაცრუებულია.

– რაც შეეხება პროპორციული სისტემის შემოღების 2024 წლამდე გადავადებას, მე ამით დამწუხრებული და იმედგაცრუებული ვარ, – განაცხადა ბუკიკიომ.

ვენეციის კომისიის პრეზიდენტმა კონსენსუსის აუცილებლობაზე გაამახვილა ყურადღება.

– შემიძლია ვთქვა, რომ კარგი სამუშაო ჩავატარეთ. მოვუწოდებ საქართველოს ყველა პოლიტიკურ ძალას, ყველაფერი გააკეთონ, რათა კომპრომისი გამონახონ, – თქვა ჯანი ბუკიკიომ ბათუმში.

## საგარეო უწყებამ იოსებ ოსორაულის ბედის გარკვევა დაიწყო

გულიკო ბალაძე

კონგოს რესპუბლიკაში შეიარაღებული დაჯგუფების მიერ დატყვევებული ქართველი მფრინავის, პოლკოვნიკ იოსებ ოსორაულის ბედი კვლავ გაურკვეველია. თუმცა, საგარეო უწყებამ დაიწყო ოსორაულის ირგვლივ შექმნილი ვითარების შესწავლა.

როგორც საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებს, კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში საქართველოს ელჩმა შეხვედრები გამართა კონგოს საგარეო უწყების ხელმძღვანელთან საქართველოს მოქალაქის, ტყვედჩავარდნილი პოლკოვნიკის იოსებ ოსორაულის თაობაზე.

– ?კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში საქართველოს ელჩი (რეზიდენციით ქ. პრეტორია) ბექა დვალი 2017 წლის 26-27 ივნისს მორიგი სამუშაო ვიზიტით ეწვია კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქ კინშასას. ვიზიტის ძირითად მიზანს წარმოადგენდა საქართველოს მოქალაქის იოსებ ოსორაულის ირგვლივ შექმნილი ვითარების განხილვა, – ნათქვამია განცხადებაში.

საქართველოს ელჩმა გამართა შეხვედრები კონგოს საგარეო უწყების ხელმძღვანელობასთან, კონგოს შეიარაღებული ძალების მაღალი დონის წარმომადგენლებთან, კონგოში გაეროს სტაბილიზაციის მისიის (მონუსკოს) და კონგოში წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის დელეგაციის ხელმძღვანელობასთან.

ზემოაღნიშნული შეხვედრებისას, ყველა ხსენებული მხარის მიერ კიდევ ერთხელ დაფიქსირდა, რომ გრძელდება ყველა შესაძლო ძალისხმევა იოსებ ოსორაულთან დაკავშირებული ვითარების გასარკვევად.





როგორც ელჩს განუცხადეს კონგოში, ჩრდილოეთ კივუს რეგიონში შექმნილი მძიმე უსაფრთხოების გარემო ართულებს ხსენებული უწყებებისა და ორგანიზაციების მხრიდან საჭირო გადაწყვეტილებების მიღების პროცესს.

– პარტნიორების მხრიდან კიდევ ერთხელ დაფიქსირდა, რომ გაგრძელდება რეგულარული კომუნიკაცია ქართულ მხარესთან და ნებისმიერი სიახლე დაუყოვნებლივ ეცნობება საქართველოს საელჩოს და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს.

ამ ვიზიტის და შეხვედრების ძირითადი თემა იყო ჩვენი თანამემამულის, თანამოქალაქის იოსებ ოსორაულის ირგვლივ შექმნილი ვითარება და იმ ინფორმაციის გადამოწმება, დაზუსტება, რაც უკავშირდება ჩვენი თანამოქალაქის ბედს. ყველა იმ სუბიექტის მხრიდან, ვისაც ჩვენ შევხვდით, კონგოს სამოქალაქო დაწესებულება თუ სამხედრო ხელმძღვანელობა, ასევე მონუსკო – გაეროს მისია და წითელი ჯვარი, ყველა მხრიდან მივიღეთ იმის დაპირება, რომ გააგრძელებენ ძალისხმევას, რათა დაზუსტდეს ჩვენი თანამოქალაქის ბედი და გადამოწმდეს ის ინფორმაცია, რასაც ამ ეტაპზე ვფლობთ. თითოეული ამ სუბიექტის მხრიდან ხაზი გაესვა, რომ ქვეყანაში, ზოგადად ჩრდილოეთ კივუს რეგიონში, შექმნილი ვითარება გარკვეულწილად ართულებს, აფერხებს მათ მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, რაც ჩვენი მოქალაქის ბედის გარკვევას უკავშირდება. თუმცა, კიდევ ერთხელ შევთანხმდით, რომ, როგორც ადრე, ამჟამადაც, სამომავლოდაც, ყოველდღიურ რე-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ოცნებას“ უდუმაშვილის ეშინია“

შორენა მარსაგიშვილი








## ლადო სადღობელაშვილი: „ვაი კალაძეს და ვუი „ოცნებას“, თუ ივანიშვილი საარჩევნო კამპანიაში არ ჩაერთო“

რატომ აგვიანებს ხელისუფლება მერობის კანდიდატების დასახელებას, რა ცვლილებები იგეგმება მთავრობაში, რატომ ეშინია „ოცნებას“ უდუმაშვილის, ვის შეუწყდა დაფინანსება, რატომ არის ივანიშვილის გამოჩენა აუცილებელი? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ქართული მიწის დაცვის კომიტეტის წევრი ლადო სადღობელაშვილი ესაუბრება.

**ლადო სადღობელაშვილი:**

– ბოლო რამდენიმე კვირაა, რაც შსს-ს წინააღმდეგ სერიოზული შავი პიარი მიდის. ხელისუფლებამ დაადასტურა, რომ პოლიცია მოქალაქეებს ნარკოტიკებს უდებდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი შეიცვლება. გიორგი მღებრიშვილი ფაქტიურად განწირულია.

„ოცნებაში“ ფიქრობენ, რომ შს მინისტრის შეცვლით ხალხის გულს მოიგებენ. ხალხის გულის მოგება ძველებურად იოლი არ იქნება. კიდევ რამდენიმე მინისტრი უნდა „დაიკლას“. შესაწირი მინისტრები მრავლად არიან. პირველ რიგში კულტურის მინისტრია შესაცვლელი, რომლის მისამართითაც ძალიან ბევრი კითხვა არსებობს.

მინისტრების ნაწილის შეცვლა დიდი ხანია გადაწყვეტილია და საამისოდ მხოლოდ ერთი კაცის თანხმობაა საჭირო. ის ერთი კაცი კი ამ თემაზე ხმას არ იღებს.

***– ის ერთი კაცი ივანიშვილია?***

– ივანიშვილია. დღეს ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ ის ავად არის და ამიტომ ვერ ერევა პროცესებში. მე არ ვიცი, როგორია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა. სამაგიეროდ კარგად ვიცი, რომ ის ბევრად ადრე გაემიჯნა „ოცნებას“, სანამ ეს ჭორი გავრცელდებოდა. მისი ავადმყოფობის შესახებ ინფორმაციის გავრცელება ყველაზე მეტად ახლა ხელისუფლებას აწყობს.

***– გამიჯვნაში რას გულისხმობთ?***

– იმას, რომ ის პროცესებში აღარ ერევა. სადღაც მაისის დასაწყისში „ახალ თაობასთან“ საუბარში ვთქვი, რომ „ოცნება“ მის გამო ვერ ასახელებდა ოფიციალურად მერობის კანდიდატს. ამ თემაზე მასთან რამდენჯერმე სცადეს დალაპარაკება, მაგრამ მას სხვა საკითხზე გადააქვს საუბარი. ამიტომაც გაჭიანურდა კანდიდატურის დასახელება.

ეტყობა, ივანიშვილმა გადაწყვიტა, „ოცნება“ თავის ნებაზე მიუშვას. აინტერესებს, მის გარეშე რისი თავი აქვთ. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ გაიჭედნენ, ნათელია, რომ არაფრის თავი არა აქვთ.

***– როდემდე გაგრძელდება ასე, მერობის კანდიდატები ხომ უნდა დაასახელონ?***

– არჩევნებამდე 3 თვეზე ცოტა მეტი დროა დარჩენილი და წესით, კანდიდატურები უკვე უნდა იყოს დასახელებული. გამუდმებით ასე ვერ გააგრძელებენ. კიდევ ცოტა ხანს დაელოდებიან და მიიღებენ რაიმე გადაწყვეტილებას. რატომღაც მგონია, რომ მთავრობაში ცვლილებები და თბილისის მერობის კანდიდატის დასახელება ერთმანეთს დაემთხვევა.

ივანიშვილი თუ არ გამოჩნდა, „ოცნებაში“ მაგრად ცუდად ექნებათ საქმე. თბილისის მერობის კანდიდატი ვერ დაუსახელებიათ და საარჩევნო სიას შეადგენენ? ამის გამო ერთმანეთს დაჭამენ და შეიძლება დაიშალონ კიდეც.

თბილისის მერობის კანდიდატურის ოფიციალურად დასახელებას ხელს მხოლოდ ივანიშვილის დუმილი არ უშლის. „ოცნების“ ერთ-ერთი ფრთა კახა კალაძის კანდიდატურის დასახელების სასტიკი წინააღმდეგია.

***– ეს ფრთა გავლენიანია?***

– ისე რა, მაგრამ მათი არგუმენტები უსაფუძვლო არ არის. ისინი პირადად კალაძის წინააღმდეგი იმდენად არ არიან, რამდენადაც კალაძის მიერ გაზპრომთან გაფორმებული ხელშეკრულება აშინებთ.

მმართველ გუნდში ყველამ კარგად იცის, რომ ეს არის კაბალური ხელშეკრულება. მას მართალია გრიფი ადევს, მაგრამ არაა გამორიცხული, დოკუმენტის გასაჯაროება მოხდეს. ეს „ოცნებისთვის“ ნამდვილი კატასტროფა იქნება. გაზპრომთან გაფორმებული შეთანხმება ენერგეტიკის მინისტრის თავზე დამოკლეს მახვილივით არის ჩამოკიდებული. ამიტომაც არ უნდათ მათ კალაძის დასახელება მერის პოსტზე. მათი აზრით, ჯობია, ისევ უსაქმური ნარმანია იყოს კანდიდატი.

რამდენადაც ჩემთვის ცნობილი გახდა, „ოცნებამ“ შიდა გამოკითხვებიც ჩაატარა. ამით ძალიან დაფიქრებულები არიან და ამ გამოკითხვების დამსახურებაა, რომ ასე გამწარებულები დაეტაკნენ ზაალ უდუმაშვილს.

***– გინდათ თქვათ, რომ „ოცნებას“ უდუმაშვილის რეიტინგი აწუხებს?***

– უპირველესად საკუთარი ურეიტინგობა. რაც შეეხება უდუმაშვილს, ის წარმოდგენილი კანდიდატებიდან ყველაზე პოპულარულია. ამიტომაც ყველა მას დაესია. მას „ევროპული საქართველო“, იგივე ევროქოცებიც ლანძღავენ, რაც უდუმაშვილის რეიტინგზე დადებითად იმოქმედებს.

***– ის არის ნაციონალების კანდიდატი. ეს არ იქონიებს ხალხზე გავლენას?***

– უდუმაშვილი არის ნაციონალების კანდიდატი, მაგრამ ის არასოდეს ყოფილა ნაციონალური მოძრაობის წევრი. მისგან განსხვავებით, კახა კალაძე ნაცმოძრაობის ღია და აქტიური მხარდამჭერი იყო.

ყოფილ ხელისუფლებას სამართლიანად ახსენებენ სისხლიან 9 წელს, მაგრამ ამ ცოდვისგან ბოკერიას ფრთა გაათავისუფლეს. არადა ისინი იყვნენ ყველა უბედურების ავტორები. ის ფაქტი, რომ „ოცნება“ და ბოკერიას ფრთა ერთად ლანძღავენ უდუმაშვილს, ბევრ რამეზე მიუთითებს.

თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ თბილისის მერის არჩევნებს „ოცნება“ პირველ ტურში ვერ მოიგებს. მათ კანდიდატს მეორე ტურში ზაალ უდუმაშვილთან მოუწევს ბრძოლა.

***– რატომ ხართ ასეთი დარწმუნებული, რომ უდუმაშვილი მეორე ტურში გავა?***

– იმიტომ, რომ მას შავბნელი წარსული არ აქვს. ის ცნობადი სახეა. ბავშვებმაც კი იციან, თუ ვინ არის უდუმაშვილი. ცნობადობა პატარა ამბავი არაა. ამის წყალობით შეძლო გიორგი თარგამაძემ პარტიის შექმნიდან რამდენიმე თვეში პარლამენტში მოხვედრა.

***– მაშინ ამბობდნენ, რომ ქდმ პარლამენტში ნაციონალების დახმარებით გავიდა.***

– დახმარებაც იყო, მათზე მერაბიშვილი აქტიურად მუშაობდა, მაგრამ თავისი ცნობადობითაც აიღეს ხმები. ასე იქნება უდუმაშვილის შემთხვევაშიც.

მართალია, კალაძე ოფიციალურად არ არის დასახელებული, მაგრამ რაკი მისი კანდიდატურა მოიაზრება, ერთ რჩევას მივცემ. როგორც ჩემთვის ცნობილი გახდა, მისი საარჩევნო კამპანიის გაძღოლას ირაკლი კობახიძე აპირებს. მივმართავ ენერგეტიკის მინისტრს, პარლამენტის სპიკერი ახლოს არ გაიკაროს.

***– რატომ არ უნდა გაიკაროს?***

– ამ კულულებიან ახალგაზრდაზე ხალხს პოლიტიკური ალერგია აქვს. მის მიმართ თბილისმა დამოკიდებულება 15 მაისს ფილარმონიაში გამართული შეხვედრის დროს გამოხატა. მან ახალგაზრდებს რუსეთუმეები და ბოლშევიკები უძახა. ამას არავინ დაივიწყებს. კობახიძე კალაძეს რეიტინგს დაუგდებს, ამიტომ მისგან თავი შორს უნდა დაიჭიროს.

ამ არჩევნებზე „ოცნებისთვის“ სერიოზული პრობლემა იქნება ინტელიგენცია და ცნობადი სახეები. ისინი ხელისუფლების მიმართ უარყოფითად არიან განწყობილი.

***– „ოცნების“ მიმართ რატომ უნდა იყვნენ უკმაყოფილოები? ივანიშვილი წლებია, მათ ფულს უხდის.***

– მარტო ფულის გადახდა არაა საკმარისი. ეს ხალხი მიიჩნევს. რომ მათი დაფასება არ ხდება. ხელისუფლების მიმართ უკმაყოფილებას რობიკო სტურუაც კი გამოხატავს. ინტელიგენცია დაუფასებლობას „ოცნებას“ არ აპატიებს.

წინა ხელისუფლება ინტელიგენციის მხარდაჭერის მოპოვებას სერიოზულად ცდილობდა. ამათთვის კი, ეტყობა, ბოკერიას ფრთა უფრო მნიშვნელოვანია. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მალე ბოკერია მოგვევლინება მთავარ ოპოზიციურ ძალად. ამაზე „ოცნებასთან“ ერთად პასუხი ოპოზიციამაც უნდა აგოს.

***– ოპოზიციამ რატომ უნდა აგოს პასუხი?***

– მათი უმოქმედობა და უაზრო ამბიციები რომ არა, ბოკერიას ფრთა ასე არ იქნებოდა გალაღებული. სხვა პარტიებს არაფერს ვერჩი, მაგრამ დემოკრატიულ მოძრაობას და პატრიოტთა ალიანსს კი უნდა მოვთხოვოთ პასუხი.

***– ამ პარტიების მიმართ ყოველთვის დადებითად იყავით განწყობილი და ახლა პასუხს სთხოვთ?***

– პასუხს იმიტომ ვითხოვ, რომ მათ ბევრი რამის გაკეთება შეეძლოთ, მაგრამ ამბიციები ვერ დაძლიეს.

***– რისი გაკეთება შეეძლოთ?***

– თუნდაც გაერთიანება. გაერთიანება ვერ შეძლეს და პოლიტიკურ ორიენტაციაშიც აირივნენ. ჯერ რუსეთთან მოლაპარაკებებიო, იძახდნენ. ახლა ალიანსი გამოვარდა და ევროპა–ამერიკაო, ყვირის. ბურჯანაძე კი ამ არჩევნებზე სიის პირველ ნომრად გუბაზ სანიკიძეს წერს. მათ არც საპარლამენტო არჩევნების წინ და არც მის შემდეგ ნორმალურად არ იმუშავეს და ახლა საკრებულოებში 1 კაცს მაინც თუ გაიყვანენ, მადლობელი უნდა იყვნენ.

სამაგიეროდ, კარგად იქნება წარმოდგენილი ბოკერიას ფრთა. ნაციონალებიც შეძლებენ რაღაცის მოპოვებას. დღეს არსებული მდგომარეობით ამის თქმა შემიძლია. არსებული ვითარება ივანიშვილის ერთმა სიტყვამ შეიძლება შეცვალოს. და ვაი კალაძეს და ვუი „ოცნებას“, თუ ყოფილი პრემიერი საარჩევნო კამპანიაში არ ჩაერთო.

„ოცნებას“ განსაკუთრებით მეორე ტურის უნდა ეშინოდეს. მეორე ტურში შესაძლოა მთელი ოპოზიცია გაერთიანდეს, რაც უივანიშვილო „ოცნებისთვის“ კატასტროფა იქნება.

---

# ლიბერთი ბანკისა და პირველი ნაბიჯის ახალი ინიციატივა ბავშვებისთვის „ვიმეგობროთ“

ლიბერთი ბანკისა და პირველი ნაბიჯი საქართველოს ორგანიზებით მოეწყო ღონისძიება „ვიმეგობროთ“, რომელიც მიზნად ისახავდა პირველი ნაბიჯის დღის ცენტრის განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვების ინტეგრაციას თანატოლებთან.

ღონისძიებაზე პატარა ბენეფიციარებს შესაძლებლობა მიეცათ, გაეცნოთ ახალი მეგობრები და ერთად ჩართულიყვნენ სხვადასხვა გასართობ აქტივობებში.

პირველი ნაბიჯის დღის ცენტრის აღსაზრდელები არიან მძიმე და ღრმა ფიზიკური და ინტელექტუალური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები და მოზარდები, რომლებიც ვერ დადიან საჯარო სკოლებში და ვერ ერთვებიან ინკლუზიურ სასწავლო პროცესებში.

სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, ლიბერთი ბანკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანია, შექმნას და ამასთანავე ხელი შეუწყოს ისეთი პლატფორმების განვითარებას, რაც საშუალებას მისცემს მოზარდებს, საკუთარ თავში აღმოაჩინონ ნიჭი, შესაძლებლობები, შეიძინონ განათლება და სასარგებლო უნარები, რათა დამოუკიდებლად შეძლონ არა მარტო საჭიროებების, არამედ უმაღლესი მოთხოვნების დაკმაყოფილება. ყველა იმ ორგანიზაციასთან თუ სახელმწიფო სტრუქტურასთან, რომელთანაც ჩვენ



ვთანამშრომლობთ, საერთო მიზანი გვაერთიანებს – „შევცვალოთ გარემო უკეთესობისაკენ“. სწორედ, ამ საერთო ღირებულებით, უკვე სამი წელია მჭიდროდ ვთანამშრომლობთ ფონდთან „პირველი ნაბიჯი საქართველო“, – ლიბერთი ბანკის გენერალური დირექტორი ალექსი ხოროშვილი.

„პირველი ნაბიჯი 18 წელია ზრუნავს უზრუნველყოს სასარგებლო გარემო განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვების ღირსეული ცხოვრებისთვის. დიდი მადლობა ლიბერთი ბანკს, რომ ყოველთვის გვერდში გვიდგას და გვეხმარება ინიციატივების განხორციელებაში“ – პირველი ნაბიჯის დირექტორი, თამარ ზაალიშვილი.

---

# ანაკლიის პორტის მიმდებარედ მცხოვრებ 9 ოჯახს უძრავი ქონება იძულების წესით ჩამოერთმევა

ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის მშენებლობისთვის, მიმდებარე ტერიტორიაზე 9 ოჯახის უძრავი ქონების ექსპროპრიაცია (საკუთრეების ძალადობრივი ჩამორთმევა სახელმწიფოს მიერ ანაზღაურებით ან მის გარეშე) დაექვემდებარება.

საუბარია დაახლოებით 14,700 კვადრატული მეტრის ფართზე.

როგორც გიორგი გახარიას 21 ივნისის ბრძანებაშია აღნიშნული, მესაკუთრეებმა უძრავი ქონების ნებაყოფლობით გამოსყიდვაზე უარი განაცხადეს.

რისი მიზეზიც ქონების გამოსასყიდ ღირებულებაზე შეუთანხმებლობა იყო.

ბრძანების მიხედვით, მესაკუთრეები ინფორმირებულნი იყვნენ, რომ გამოსყიდვაზე მათი უარის შემთხვევაში სსიპ ,,სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“ მათი საკუთრების ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით კანონმდებლობით დადგენილ ღონისძიებებს მიმართავდა.

მესაკუთრეებს ასევე მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ექსპროპრიაციის შემთხვევაში საექსპროპრიაციო ქონების სანაცვლოდ კონსტიტუციით გარანტირებულ წინასწარ, სრულ და სამართლიან ანაზღაურებას მიიღებდნენ.

ცნობისთვის, საქართველოს მთავრობასა



და შპს „ანაკლიის განვითარების კონსორციუმს“ შორის 2016 წლის 3 სექტემბერს გაფორმდა ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის, ოპერირებისა და გადაცემის შესახებ საინვესტიციო ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრა სახელმწიფოს ვალდებულება ინვესტორს ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის მშენებლობის მიზნით გადასცეს 340 ჰა მიწის ნაკვეთი.

ნავსადგურის განსახლების სამოქმედო გეგმა კი მთავრობის 2017 წლის 13 თებერვლის განკარგულებით დამტკიცდა. გეგმის შესაბამისად, პროექტისათვის საჭირო მიწის ნაკვეთების შესყიდვას ,,ქონების ეროვნული სააგენტო“, ხოლო მიწის ნაკვეთების გამოსყიდვის პროცედურებს სააგენტოს კონტრაქტორი შპს ,,დისტანციური ზონდირებისა და გეოინფორმაციული სისტემების საკონსულტაციო ცენტრი გეოგრაფიკი“ ახორციელებს.

# თინათინ ბოკუჩავა: „ქართული ოცნება“ საარჩევნო დაპირების შესრულებაზე უარს ამბობს“

ნათია ხურცილავა

ნაციონალური მოძრაობის წევრი, პარლამენტის დეპუტატი თინათინ ბოკუჩავა „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ვენეციის კომისიის პრეზიდენტ ჯანი ბუკიკიოსთან დაგეგმილ შეხვედრაზე საუბრობს.

***– ქალბატონო თინათინ, ვენეციის კომისიის ხელმძღვანელ ჯანი ბუკიკიოს ოპოზიციის წევრები 29 ივნისს შეხვდებით. რა არის თქვენი შეხვედრის მიზანი?***

– ბათუმში ჩვენ, გაერთიანებულ ოპოზიციას, ჯანი ბუკიკიოსთან შეხვედრა გვაქვს დაგეგმილი. ამ შეხვედრაზე ბატონ ბუკიკიოს მოვახსენებთ, „ქართულმა ოცნებამ“ როგორ მოგვატყუა ყველა, ოპოზიციაც და ამ ქვეყნის მოქალაქეებიც, ამომრჩევლები და როგორ შემოგვაპარა სრულიად სხვა დოკუმენტი.

მმართველმა პარტიამ მოატყუა არა მხოლოდ ქართველი საზოგადოება, პოლიტიკური სპექტრი, არამედ თავად ვენეციის კომისია. მათ ერთ ღამეში შეცვალეს დოკუმენტი, რომელიც გადაუგზავნეს ვენეციის კომისიას და რომელზეც ვენეციის კომისიამ დადო დასკვნა. პარლამენტმა უკვე ორი მოსმენით კენჭი უყარა არა იმ დოკუმენტს, რომელზეც ვენეციის კომისიამ დასკვნა დადო, არამედ სრულიად განსხვავებულ დოკუმენტს.

ეს უნდა იცოდეს ვენეციის კომისიამ და ჯანი ბუკიკიომ.

ვენეციის კომისიის იმ დასკვნაში ყველაზე დადებითად შეფასებული იყო ის, რომ საარჩევნო სისტემა იცვლებოდა ქვეყანაში, შერეული მოდელიდან პროპორციულ სისტემაზე გადავდიოდით. ეს იყო აღნიშნული დადებითად ამ დასკვნაში, მაგრამ რა გამოდის, ამოღებულია ეს ვარიანტი და ძველი სისტემაა დატოვებული 2024 წლამდე.



***– კონსტიტუციონალისტი შარმანაშვილი აცხადებს, რომ ვენეციის კომისიას და ჯანი ბუკიკიოს მშვენივრად ესმით, რომ პარლამენტი სწორედ ის ორგანოა, რომელსაც კანონპროექტებში შესწორებები და ცვლილებები შეაქვს. რას უპასუხებთ?***

– ძალიან სამწუხაროა, რომ ამას ამბობს კონსტიტუციონალისტი, და მას ეს პროცესი რიგით საკანონმდებლო პროცესამდე დაჰყავს. ჩვეულებრივი კანონიც კი, ორგანული კანონიც კი, აქ არ არის საუბარი ქვეყნის უმაღლეს კანონზე – კონსტიტუციაზე, კონსენსუსის შედეგი უნდა იყოს.

## „არც ერთი ხმა არ აკლდებათ, „ქართული ოცნება“ თამაშობს“

სამწუხაროა, რომ ეს ასე არ მოხდა და მთელი პროცესის პირისპირ მმართველი ძალა მარტო აღმოჩნდა, რადგან მათ ერთ ღამეში შეცვალეს ყველაფერი, ამიტომ არ მივიღეთ საპარლამენტო განხილვებში მონაწილეობა.

***– ხომ არ ჯობდა, რომ ოპოზიციას, ამ შემთხვევაში ნაციონალურ მოძრაობას, რომელიც უფრო მძლავრად არის პარლამენტში წარმოდგენილი, ეს პროცესი არ მიეტოვებინა და ბოლომდე გებრძოლათ?***

– ჩვენ ბოიკოტი გამოვაცხადეთ იმიტომ, რომ სულ სხვა დოკუმენტი დადგა განხილვაზე. ეს რომ არ მომხდარიყო და ხელების გადაგრეხვით არ შემოეტყუებინათ სრულიად განსხვავებული დოკუმენტი, ჩვენ მზად ვიყავით, მიუხედავად იმისა, რომ არ ვიყავით აღფრთოვანებულები ამ საკონსტიტუციო ცვლილებებით, საპარლამენტო განხილვებში მონაწილეობა მიგვეღო. სწორედ ამიტომ ვართ ბოიკოტის რეჟიმში.

კარგად გვახსოვს, „ქართული ოცნება“ საარჩევნო სისტემის შეცვლას როგორ ჰპირდებოდა ამომრჩეველს 2012 წელსვე, შეგიძლიათ ეს განცხადებები ამოიღოთ და ნახოთ. 2012 წლიდან რამდენი წელი გავიდა?! მაგრამ „ქართული ოცნება“ არ ცვლის ამ სისტემას, რადგან პროპორციული სისტემა ყველას თანაბარ მდგომარეობაში აყენებს, თითოეული ამომრჩევლის ხმას თანაბარი წონა აქვს. ეს სისტემა მმართველ ძალას უპირობო გამარჯვების შანსს არ აძლევს და ამიტომაც არ ცვლის.

***– თქვენმა ხელისუფლებამ რატომ არ შეცვალა თავის დროზე, როდესაც თქვენ იყავით ხელისუფლებაში?***

– ნაციონალური მოძრაობა გეგმავდა პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლას. 2010 წელს განხორციელებული საკონსტიტუციო რეფორმის შემდეგ სწორედ ამაზე იყო საუბარი გუნდშიც და ამ საკითხზე ვენეციის კომისიასთანაც იყო კონსულტაციები. დღეს ხელისუფლებაში არის არა ნაციონალური მოძრაობა, არამედ „ქართული ოცნება“, რომელმაც ამომრჩეველს საარჩევნო სისტემის შეცვლის პირობა მისცა, მაგრამ ამ პირობის შესრულებაზე უარს ამბობს.

***– ახლა რამდენად აქვს ნაციონალურ მოძრაობას მზადყოფნა, რომ ის ხმები, რაც „ქართულ ოცნებას“ აკლდება, მიამატოს, რადგან სისტემის ცვლილება თქვენი პარტიის ინტერესშია?***

– არაფერი არ აკლდება, „ქართული ოცნება“ თამაშობს. არც ერთი ხმა არ აკლდებათ. უბრალოდ, არ არსებობს ნება, რომ პროპორციულ სისტემაზე გადავიდეთ. ეს სურვილი რომ არსებობდეს უზენაეს ინსტანციაში, გარწმუნებთ, ეს ასეც მოხდებოდა.

ასევე იკრძალება საარჩევნო კოალიციები, რაც ძალიან ნეგატიურად იმოქმედებს.

***– თუმცა, საარჩევნო ბარიერმა დაიწია.***

– დიახ, მაგრამ ბარიერის დაწევა მნიშვნელოვანი იქნებოდა, თუ პროპორციულ სისტემაზე გადავიდოდით. არსებულ შემთხვევაში ბარიერის დაწევა მნიშვნელობას კარგავს. აქვე კიდევ ერთი, ჩვენი საზოგადოების ნების საწინააღმდეგო გადაწყვეტილების შესახებ – ქართველი საზოგადოების, ამომრჩევლის 90% მხარს უჭერს პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევნებს, რაზეც „ქართულმა ოცნებამ“ უარი თქვა, უარი თქვა ხალხის დაკვეთაზე, მაგრამ შეასრულა პოლიტიკური დაკვეთა, რომელიც მდგომარეობდა იმაში, რომ როგორმე ყველა დონეზე შეინარჩუნონ ძალაუფლება, ყველა ინსტიტუცია იყოს მათ კონტროლქვეშ.

# არჩილ თალაკვაძე: „პრეზიდენტი ცდილობს, რომ გამოიყენოს ოპოზიციური პარტიები“

– აშკარაა, რომ პრეზიდენტი ცდილობს, გამოიყენოს ოპოზიციური პარტიები და ოპოზიციური პარტიებიც ცდილობენ და ახერხებენ კიდეც,



გამოიყენონ პრეზიდენტი. ვფიქრობ, პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ფიქრობს საკუთარ მანდატზე, რომელიც სინამდვილეში არის ნეიტრალური არბიტრის მანდატი, წარმომადგენლობითი და ზეპარტიული მანდატი, – ამის შესახებ ჟურნალისტებს უმრავლესობის ლიდერმა არჩილ თალაკვაძემ განუცხადა.

მისი თქმით, საპარლამენტო მოდელზე გადასვლისთვის მნიშვნელოვანია საქართველოს ჰყავდეს პრეზიდენტი, რომელიც ახალი კონსტიტუციითაა გათვალისწინებული.

– ვფიქრობ, პრეზიდენტი ფიქრობს საკუთარ მანდატზე, რომელიც სინამდვილეში არის ნეიტრალური არბიტრის მანდატი, წარმომადგენლობითი და ზეპარტიული მანდატი. მაგრამ, მეორე მხრივ, პრეზიდენტი ხედავს, რომ ოპოზიციური პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილი მას აწუხებს, რომ გადადგას უფრო მკვეთრი ნაბიჯები. პრეზიდენტი ამ ნაბიჯებით ახდენს თვითრეალიზაციას, სწორედ იმ ნაბიჯებით, რასაც ის კონსტიტუციასთან მიმართებაში დგამს. ამაზე პარლამენტის თავმჯდომარეც საუბრობდა, რომ საპარლამენტო მოდელებისთვის და ამ მოდელზე სრულად გადასვლის შემდეგ ქვეყანას, უმჯობესია, ისეთი პრინციპით არჩეული პრეზიდენტი ჰყავდეს, რომელიც გათვალისწინებულია ახალ კონსტიტუციაში, – აღნიშნა თალაკვაძემ.

ჟურნალისტის კითხვაზე, თუ რას უკავშირებს ის პრეზიდენტის ბოლოდროინდელ განცხადებებს საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით და ხომ არ არის პრეზიდენტი ალიანსში ოპოზიციურ პარტიებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, თალაკვაძის თქმით, აშკარაა, რომ პრეზიდენტი ცდილობს გამოიყენოს ოპოზიციური პარტიები, ისევე, როგორც ოპოზიციური პარტიები ცდილობენ, გამოიყენონ პრეზიდენტი.

– აშკარაა, რომ პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ცდილობს, გამოიყენოს ოპოზიციური პარტიები და ისიც ნათელია, რომ ოპოზიციური პარტიებიც ცდილობენ და ახერხებენ კიდეც, გამოიყენონ პრეზიდენტი, – განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.

# სერგო რატიანი: „უმრავლესობის გამოსვლებს რომ ვუსმენ, საბჭოთა გადაცემები — „ვრემია“ ან „მოამბე“ მახსენდება“

– როდესაც ვუსმენ საპარლამენტო უმრავლესობის გამოსვლებს, არ შემიძლია არ გავიხსენო წინა საუკუნის 50-70-იანი წლების საბჭოთა გადაცემები, „ვრემია“ ან „მოამბე“, – ამის შესახებ „ევროპული საქართველოს“ წევრმა სერგო რატიანმა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

სერგო რატიანის თქმით, აღნიშნულ გადაცემებში საუბარი იყო იმაზე, რომ რა კარგად მიდის ცხოვრება.

– წინა საუკუნის 50-იან წლებში საბჭოთა კავშირის გენერალურმა მდივანმა ხრუშჩოვმა გამოაცხადა, რომ 10 წლის შემდეგ ჩვენ შევალთ კომუნიზმშიო და რაღაც ასეთი სულისკვეთება არის დღეს დარბაზში, – განაცხადა რატიანმა.

დეპუტატი ასევე გამოეხმაურა საკონსტიტუციო ცვლილებებს.

– ბოლო თვეების განმავლობაში თქვენ ამტკიცებდით, რომ ცვლიდით კონსტიტუციაში ფუნდამენტურ



საკითხს – არჩევნების სისტემასთან დაკავშირებით, ამას მოითხოვდა მთელი პოლიტიკური სპექტრი, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციები, საერთაშორისო საზოგადოება. მეგობრებო, თქვენ დადიოდით ქალაქ-ქალაქ და თქვენს ამომრჩეველს ეუბნებოდით, რომ ცვლით სისტემას, რომ შერეული სისტემა არის ნაკლებად დემოკრატიული. ამბობდით, რომ ის არის ცუდი და შემდეგ თქვენ უბრალოდ ბოლო დღეებში შეცვალეთ ყველაფერი და ისევ დაუბრუნდით არსებულ სისტემას. რეალურად თქვენ მოატყუეთ როგორც ქართველი ამომრჩეველი, თქვენ მოატყუეთ თქვენი ამომრჩეველი, რომელსაც 4 თვის განმავლობაში ელაპარაკებოდით ცვლილებებზე. თქვენ მოატყუეთ საერთაშორისო საზოგადოება და ქართული საზოგადოება. ეს არის სერიოზული პრობლემა. ამის შემდეგ თქვენ გაქვთ რეპუტაციისა და ნდობის პრობლემა. ასევე, თქვენ ქართველ ხალხს ართმევთ უფლებას, რომ თვითონ აირჩიონ პირდაპირი წესით პრეზიდენტი და არც ეკითხებით. ჩვენ გთავაზობდით, რომ მოაწყვეთ საერთო-სახალხო გამოკითხვა, იმიტომ, რომ ეს ცვლილებები განსაზღვრავს შემდეგ უახლოეს ისტორიას. თქვენ გეშინიათ ქართველი ამომრჩევლის, – განაცხადა რატიანმა.

# საგარეო უწყებამ იოსებ ოსორაულის ბედის გარკვევა დაიწყო

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ჟიმში გავაგრძელებთ კავშირს და ნებისმიერი სიახლის თაობაზე, კონგოს მხრიდან ეცნობება ქართულ მხარეს, ხოლო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, ბუნებრივია, ამ ინფორმაციას დაუყოვნებლივ მიაწვდის იოსებ ოსორაულის ოჯახს და საზოგადოებას საქართველოში, – აღნიშნა საქართველოს ელჩმა ბექა დვალმა.

როგორც აღნიშნული ინფორმაციით ირკვევა, საგარეო უწყებამ, რეალურად, ახლა დაიწყო ქართველი მფრინავის, პოლკოვნიკ იოსებ ოსორაულის ბედის გარკვევა. მიუხედავად ამისა, მრავალჯერ ოფიციალურად გაავრცელა ინფორმაცია. თითქოს იოსებ ოსორაული სავარაუდოდ დაღუპული იყო.

საგარეო უწყებამ იოსებ ოსორაულის სავარაუდო დაღუპვის შესახებ ინფორმაცია ოჯახსაც მიაწოდა, რასაც მოჰყვა საპროტესტო აქციები არამარტო საქართველოში. იოსებ ოსორაულის მეუღლემ განაცხადა, რომ თუ ტყვედჩავარდნილი მისი მეუღლე დაღუპულია, ცხედარი გადასცენ.

იოსებ ოსორაულის დაღუპვის შესახებ საგარეო უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციებს კატეგორიულად უარყოფს სამხედრო ექსპერტი დავით ნემსაძე, რომელმაც „ახალ თაობას“ არაერთხელ მისცა ინფორმაცია, რომ იოსებ ოსორაული ცოცხალია და საგარეო უწყება არასწორ ინფორმაციას ავრცელებს. მას აფრიკაში გარკვეულ პირებთან აქვს კავშირი და მათგან მიღებულ ინფორმაციას ეყრდნობა.

ახლა კი ირკვევა, რომ ბატონი ელჩი აწარმოებს მოლაპარაკებებს და კონგოს ხელისუფლების წარმომადგენლებს შეხვდა. იოსებ ოსორაული კი კონგოში ხელისუფლების ოპოზიციურ ძალებს ჰყავთ ტყვედ.

თავდაპირველი ინფორმაციით, შეიარაღებული დაჯგუფება ქართველი მფრინავის გათავისუფლების სანაცვლოდ, მილიონ დოლარს ითხოვდა. ცოტა ხნის წინ, „იმედისთვის“ მიცემულ ინტერვიუში დაჯგუფების ლიდერმა განაცხადა, რომ ისინი ტერორისტები არ არიან და არც გამოსასყიდს ითხოვდნენ. იოსებ ოსორაული კი კონგოს ხელისუფლების ძალების თავდასხმის დროს სავარაუდოდ დაიღუპა.

ამ განცხადების შემდეგაც დავით ნემსაძემ უარყო ინფორმაცია ოსორაულის დაღუპვის შესახებ.

საგარეო უწყების ახლანდელ განცხადებაში კი არაფერია ნათქვამი იოსებ ოსორაულის დაღუპვა – არდაღუპვის თაობაზე.

# რუსეთი ვაშინგტონს აფრთხილებს, სირიაში „უპასუხისმგებლო ქმედებებისგან“ თავი შეიკავოს

რუსეთი ვაშინგტონს აფრთხილებს, სირიაში „უპასუხისმგებლო ქმედებებისგან“ თავი შეიკავოს. აღნიშნულის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში განაცხადეს.

– რაც შეეხება ვაშინგტონის საომარ რიტორიკას, საჭიროდ მივიჩნევთ, გავაფრთხილოთ ამერიკელი კოლეგები, უპასუხისმგებლო ქმედებებისგან თავი შეიკავონ, რომლებიც ეწინააღმდეგებიან გაერო-ს წესდებასა და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს, როგორც ეს მოხდა 7 აპრილს, „შაირათის“ ავიაბაზაზე განხორციელებული ავიადარტყმებისას, – აღნიშნეს რუსეთის საგარეო უწყებაში.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, რომ ოფიციალური ვაშინგტონის განცხადებები იმის თაობაზე, რომ სირიის ხელისუფლება ქიმიური შეტევის განსახორციელებლად ემზადება, ერთგვარი მესიჯია ტერორისტებისთვის, რათა მასშტაბური პროვოკაცია განახორციელონ.

თეთრი სახლის პრესმდივანმა შონ სპაისერმა განაცხადა, რომ აშშ-ის ხელისუფლებამ სირიის მთავრობის მიერ ქიმიური იარაღის გამოყენებისთვის მზადების ნიშნები გამოავლინა.

– თუ ასადი კიდევ ერთ მასობრივ მკვლელობას განახორციელებს ქიმიური იარაღის გამოყენებით, მას და მის შეიარაღებულ ძალებს ეს ძვირი დაუჯდებათ, – დასძინა თეთრი სახლის პრესმდივანმა.

# პოროშენკო საქართველოში ჩამოდის, სააკაშვილი უკრაინიდან გარბის?

მარიამ მჭედლიშვილი



**უკრაინის პრეზიდენტის, პეტრო პოროშენკოს დაანონსებულ ვიზიტს საქართველოში წინ უძღოდა განცხადებები იმის შესახებ, რომ უკრაინა საქართველოს ექსპრეზიდენტ სააკაშვილს გადმოსცემს. უკრაინის ლიდერის პირველი ოფიციალური ვიზიტი საქართველოში ივლისში გაიმართება. საქართველოში ამას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. სტრატეგიული თანამშრომლობის მიუხედავად, ორი ქვეყნის ხელმძღვანელებმა მჭიდრო ურთიერთობები ვერ დაამყარეს.**

ვიზიტი ახალ რეალობაში გაიმართება – რამდენიმე თვეა, სააკაშვილი აღარ არის პეტრო პოროშენკოს გუნდის წევრი. უფრო მეტიც, უკრაინის ხელისუფლების შეცვლის მუქარით გამოდის.

დაახლოებით ორი კვირის წინ სააკაშვილის თანამოაზრე დავით საყვარელიძემ განაცხადა, რომ სააკაშვილზე ზეწოლა მიმდინარეობს. მას ემუქრებიან, რომ თუ არ გაჩერდება, განხორციელდება მისი ექსტრადიცია საქართველოში. მისივე ინფორმაციით, უკრაინის პრეზიდენტ პოროშენკოს აქტიური კონტაქტები აქვს საქართველოს ყოფილ პრემიერ ბიძინა ივანიშვილთან.

დავით საყვარელიძემ, რომელიც სააკაშვილის პარტიის, „ახალი ძალების მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერია, აღნიშნა, რომ თავის დროზე პოროშენკოს არ ხიბლავდა სააკაშვილის საქმიანობა უკრაინაში. მას არ სურდა პუტინის გაღიზიანება. პოროშენკო სააკაშვილის პოპულარობასაც უფრთხოდა. ექსპრეზიდენტი მზად იყო, სათავეში ჩასდგომოდა ანტიკორუფციულ ბიუროს, მაგრამ ამან დიდი აურზაური გამოიწვია უკრაინის პოლიტიკურ ელიტაში. ამის გამო პოროშენკო იძულებული გახდა, მიხეილ სააკაშვილი ოდესის ოლქში მიევლინა.

მაისში დავით საყვარელიძემ ივარაუდა, რომ ზაფხულში, შვებულებების დროს, უკრაინაში მომუშავე ქართველ რეფორმატორებს უკრაინის მოქალაქეობას მოუხსნიან. ამისთვის გამოიყენებენ უკრაინის რომელიმე მარიონეტულ სასამართლოს.

„ქართული დესანტისთვის“ უკრაინის მოქალაქეობა არ ჩამოურთმევიათ. ეს შეუძლებელს ხდის ძებნილი სააკაშვილის ექსტრადირებას. უკრაინის გენპროკურორის მოადგილე ევგენი ენინი აცხადებს, რომ მიხეილ სააკაშვილი უკრაინის მოქალაქეა, ამიტომ, კონსტიტუციის თანახმად, მისი ექსტრადიცია შეუძლებელია.

სააკაშვილის ექსტრადიცია პირველად საქართველოს ხელისუფლებამ 2015 წელს მოითხოვა, მაგრამ უშედეგოდ.

– არ ვიცი, რატომ არის ის აქამდე უკრაინაში, – განაცხადა ამ დღეებში უკრაინის პრეზიდენტმა სააკაშვილზე დასმული შეკითხვის საპასუხოდ.

პოროშენკოს თქმით, მან სააკაშვილი ოდესის ოლქში რეფორმებისთვის მიიწვია. „შედეგებს თავად ხედავთ“ – ასე აფასებს სააკაშვილის საქმიანობას გუბერნატორის თანამდებობაზე უკრაინის პრეზიდენტი.

მანვე განმარტა, რომ არავისთან აპირებს სააკაშვილის საქმიანობის გამოძიებას.

– არ აღვიქვამ იდეას, შევაფასო მისი საქმიანობა ქვეყანაში, ვინაიდან მე ის მოვიწვიე იმისთვის, რომ დამხმარებოდა რეფორმების დანერგვაში ოდესის ოლქში, – აღნიშნა პოროშენკომ.

უკრაინული მედიის ცნობით, სააკაშვილი ამ დღეებში საზღვარგარეთის ბიომეტრიული პასპორტის აღების მსურველთა რიგში დააფიქსირეს. არსებობს ამის ამსახველი ფოტო.

თუ მას უკრაინაში სასურველი პირობები არ შეექმნა, ძებნილი ექსპრეზიდენტი და ყოფილი გუბერნატორი საზღვარგარეთ გაიქცევა.

საქართველოში არსებობს მოსაზრება, რომ უკრაინა სააკაშვილისთვის პოლიტიკური აქტიურობის დროებითი არენაა, მისი მიზანი საქართველოში ძალაუფლების დაბრუნებაა. ამ მიზნით იგი მუშაობას ეწევა ვაშინგტონში.

სარწმუნო წყაროს ცნობით, სააკაშვილის გეგმები აშშ-ში დონალდ ტრამპის წინააღმდეგ შესაძლო იმპიჩმენტს უკავშირდება. სააკაშვილი ფარულად თანამშრომლობს ტრამპის მოწინააღმდეგეებთან.

# „დეკანოზ გიორგი მამალაძეს სასულიერო პირის ტანსაცმლის ჩაცმის უფლებას არ აძლევენ“

შორენა მარსაგიშვილი

**დღეს, 29 ივნისს, ციანიდის საქმის განხილვა გაგრძელდება. დაცვის მხარე კიდევ ერთხელ მოითხოვს, რომ პროცესი გაიხსნას. თუმცა მათ ამის დიდი იმედი არა აქვთ. სამაგიეროდ სჯერათ, რომ დეკანოზ გიორგი მამალაძის მიმართ საპატრიარქო თავის პოზიციებს გადახედავს.**

27 ივნისს დეკანოზთან პატრიარქის დავალებით დეკანოზი კახაბერ გოგოტიშვილი და არქიმანდრიტი დავით ჭინჭარაული შევიდნენ.

ადვოკატ მიხეილ რამიშვილის თქმით, მამა გიორგიმ მასთან შესულ სასულიერო პირებს ისეთი რაღაცები უთხრა, რომ საპატრიარქომ სხვანაირი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს.

– მამა გიორგიმ დეტალურად უთხრა მათ, თუ რასთანაა მისი საქმე დაკავშირებული, ვის გამო მოხდა ეს ყველაფერი და აქედან გამომდინარე, მან ითხოვა, რომ ყველას, ვისაც კი სჯერა და დარწმუნებულია, რომ სურათი რეალურად სხვაა, ყველას მიაწოდონ ინფორმაცია და პირველ რიგში, პატრიარქს.

ამ შეხვედრის შემდეგ იმედი აქვს მამა გიორგის, ვინაიდან ძალიან ბევრ ისეთ საკითხზე იყო საუბარი, რომელზეც საპატრიარქოსა და იქ მყოფი სასულიერო პირების ინტერესი უნდა მომდინარეობდეს. ამის შემდეგ, ალბათ, უფრო სხვანაირ ქმედებებს დაველოდებით საპატრიარქოდან, – განუცხადა მიხეილ რამიშვილმა ჟურნალისტებს ე.წ. მატროსოვის ციხიდან გამოსვლის შემდეგ.

27 ივნისს ბათუმის და ლაზეთის ეპარქიამ განცხადება გაავრცელა, სადაც ნათქვამია, რომ მამა გიორგის ზიარება და სამღვდელო ხარისხი შეუჩერდა. დეკანოზისთვის ეს გადაწყვეტილება მოულოდნელი აღმოჩნდა.





ადვოკატ მია ნოზაძის განცხადებით, დეკანოზი საპატრიარქოსა და ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიისგან განმარტებებს ითხოვს.

– მამა გიორგი ითხოვს განმარტებებს საპატრიარქოსგან, საიდან გამომდინარეობდა პირველ რიგში მეუფე იაკობის მიერ სასჯელის დადება. ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიისგან კი აინტერესებს, რატომ დაედო ორი სასჯელი, ვინაიდან, როგორც მამამ მითხრა, კანონიკური სამართლით არ შეიძლება სასულიერო პირს ორი სასჯელი დააკისრო, მამა გიორგის კი შეუჩერდა მღვდელმსახურება და ასევე უარი ეთქვა ზიარების უფლებაზე...

მამა გიორგი ასევე მოხარულია, რომ მეუფე იაკობის არასამართლიან სასჯელზე რეაგირება მოხდა მისი ეპარქიის მხრიდან. დეკანოზს მხოლოდ მღვდელმსახურება შეუჩერდა სასამართლო განხილვების დასრულებამდე და დეკანოზის სტატუსი არ ჩამორთმევია, – აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბარში მია ნოზაძემ.

საპატრიარქომ ამ მოთხოვნის შემდეგ საგანგებო განცხადება გაავრცელა. მათი განმარტებით, საეკლესიო კანონიკის თანახმად, დეკანოზ გიორგი მამალაძის ზიარებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება უნდა მიეღო იმ ეპარქიის მმართველ მღვდელმთავარს, სადაც იგი მღვდელმსახურებას ალასრულებდა და ვისაც იგი კანონიკურად ექვემდებარებოდა.

– დეკანოზი გიორგი სამსახურებრივად დაკავშირებული იყო მცხეთა-თბილისის ეპარქიასთანაც, თუმცა, იგი რჩებოდა ბათუმისა და ლაზეთის იურისდიქციაში. ვინაიდან, ამ დრომდე ზიარებასთან მიმართებაში არ იყო ცნობილი მიტროპოლიტ დიმიტრის (შიოლაშვილი) პოზიცია, ხოლო ბოლო თვეების განმავლობაში გაცხადდა, რომ დეკანოზ გიორგი მამალაძისგან ხდებოდა საეკლესიო იერარქიისა და სხვა პირების მიმართ ცილისმწამებლური წერილებისა და განცხადებების გაკეთება (რაც „ციანიდის საქმეს“ უშუალოდ არ ეხება), ქორეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი), კათოლიკოს-პატრიარქისთვის საკითხის გაცნობის შემდეგ, ციხეში დეკანოზთან შესულ სასულიერო პირებს მისცა ლოცვა-კურთხევა, ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტის მხრიდან გადაწყვეტილების მიღებამდე, თავი შეეკავებინათ მისი ზიარებისგან.

ამა წლის 27 ივნისს ცნობილი გახდა, რომ დეკანოზ გიორგი მამალაძისათვის დროებით ზიარების შეჩერება (დაცადება) მიტროპოლიტმა დიმიტრიმ სამართლებრივად გაამყარა, – ნათქვამია საპატრიარქოს განცხადებაში.

საპატრიარქო წუხილს გამოთქვამს ბოლო თვეებში განვითარებული მოვლენების გამო.

– დიდად ვწუხვართ, რომ უკვე ოთხ თვეზე მეტია საეკლესიო თემებით ხდება სპეკულირება, რაც მიზანმიმართული ქმედების შთაბეჭდილებას ტოვებს, – აღნიშნავენ საპატრიარქოში.

ამ დღეებში ან საქმეზე კიდევ ერთი სკანდალური ამბავი გახდა ცნობილი. ადვოკატ გიორგი ფანცულაიას თქმით, მამა გიორგის სასულიერო პირის ტანსაცმლის ჩაცმის უფლებას არ აძლევენ.



როგორც ტვ პირველის ეთერში ფანცულაიამ განაცხადა, დაცვის მხარემ სასჯელაღსრულების დაწესებულებას არაერთხელ მიმართა, სადაც განაცხადეს, რომ ეს საკითხი მათი გადასაწყვეტი არ არის.

– მამა გიორგის არ აძლევენ სასულიერო პირის ტანისამოსის ჩაცმის უფლებას, არც ციხეში, არც სასამართლოში. როდესაც ის ახლად დაკავებული იყო, ჩვენ არაერთხელ ვცადეთ, რომ იქნებ მიეცა აღნიშნულ დაწესებულებას უფლება, მაგრამ როგორც სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გავიგეთ, ეს საერთოდ მიღებული წესია და თვითონ ე.წ მატროსოვის ციხის დირექტორი ამ საკითხს ვერ გადაწყვეტდა. შესაბამისად, სამწუხაროდ, ის დღემდე, თითქმის ხუთი თვეა, რაც დაკავებულია, სასულიერო პირის ტანისამოსით ვერ სარგებლობს, – აღნიშნა ადვოკატმა.

# მამუკა მდინარაძე: „აფგან მუხთარლის საქმეზე პარლამენტში საგამოძიებო კომისია უნდა შეიქმნას“



– მე მივემხრობოდი იმას, რომ აფგან მუხთარლის საქმეზე პარლამენტში საგამოძიებო კომისია შეიქმნას. ფაქტია, რომ ამ საქმის გამოუძიებლობა ქვეყნის საერთაშორისო იმიჯს დააზიანებს და ამაზე არავინ დავობს. ერთადერთი, რაც შეიძლება დისკუსიის საგანი იყოს, ისაა, რომ ამ ეტაპზე მიზანშეწონილი იქნება თუ არა საგამოძიებო კომისიის შექმნა, – ამის შესახებ ჟურნალისტებთან ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ მამუკა მდინარაძემ განაცხადა.

მისი თქმით, თუკი აფგან მუხთარლის საქმესთან დაკავშირებით გამოძიება შედეგებს არ დადებს, ამ შემთხვევაში საპარლამენტო კომისია შესაქმნელი იქნება.

– ფაქტია, რომ ამ საქმის გამოუძიებლობა ქვეყნის საერთაშორისო იმიჯს დააზიანებს და ამაზე არავინ დავობს. ერთადერთი, რაც შეიძლება დისკუსიის საგანი იყოს, ისაა, რომ ამ ეტაპზე მიზანშეწონილი იქნება თუ არა საგამოძიებო კომისიის შექმნა. იმ შემთხვევაში, თუ გამოძიება შედეგს არ დადებს, რომელიც ყველა კითხვაზე პასუხს გასცემს, ყველა ვარიანტში კომისია შესაქმნელი იქნება. გუნდის შიგნით ამაზე ნაწილი მიიჩნევს, რომ კომისია უკვე უნდა შეიქმნას, ნაწილი თვლის, რომ გამოძიების მიმდინარეობას და შედეგებს უნდა დაველოდოთ. საბოლოო ჯამში, ყველა თანხმდება იმაზე, რომ გამოძიებას ვალდებულება აქვს, რომ არც ერთი კითხვის ნიშანი არ უნდა დატოვოს, – განაცხადა მდინარაძემ.

პარლამენტში აფგან მუხთარლის საქმესთან დაკავშირებით ოპოზიცია საგამოძიებო კომისიის შექმნას ითხოვს.

# „როგორ შეიძლება მოგვინდეს, რომ ამ მთავრობას მივცეთ იმაზე მეტი მანდატი, ვიდრე დღეს აქვს“

– ხელისუფლებამ ნებისმიერ ბიზნესს გადასახადი რომ გაუზარდოს, მისი გარკვეული წილი მოსახლეობას დააწვება, – ამის შესახებ ეკონომისტმა გიორგი პაპავამ რადიო „კომერსანტის“ გადაცემაში „ეკონომისტის დრო ლევან ქისტაურთან ერთად“ ისაუბრა.

– ჩვენ არ ვცხოვრობთ იდეალურ სამყაროში, სადაც ყველაფერი დალაგებულია. გვაქვს კონკრეტულად რამდენიმე მთავრობის გამოცდილება, რომელიც არასდროს იმას არ აკეთებს, რასაც მანამდე ამბობდა. როგორ შეიძლება მოგვინდეს, რომ ამ მთავრობას მივცეთ გაცილებით მეტი მანდატი, ვიდრე დღეს აქვს. ჩვენ ვირჩევთ მთავრობას, მაგრამ არჩეულს მეორეჯერ სჭირდება ლეგიტიმაციის მიცემა იმისთვის, რომ მან გადასახადები გაზარდოს. ეს გვიცავს იმ შემთხვევისგან, როდესაც მოსახლეობის 25% უჭერს მხარს კონკრეტულ პარტიას, რომელსაც გარკვეული პოლიტიკა აქვს. ხელისუფლებაში მოსული აკეთებს იმას, რაზეც წინასწარ გაცხადებული არ ჰქონია, – აღნიშნა გიორგი პაპავამ.



კითხვაზე, მაშინ, როცა ბიზნესს შეუძლია ნებისმიერ დროს თავისი პროდუქციის და მომსახურების ფასები გაზარდოს, რატომ არ შეიძლება იგივე ბერკეტი ჰქონდეს ხელისუფლებას, გიორგი პაპავა პასუხობს, რომ ბიზნესს ფასის განსაზღვრის დროს მაქსიმიზაცია ევალება, მთავრობას კი – არა.

– მთავრობა აირჩია ხალხმა და ბიზნესმა. ამიტომაც მან რეალურად ჩვენი და ბიზნესის ინტერესები უნდა გაატაროს. როდესაც ბიზნესი თავის ფასს განსაზღვრავს, ის თავისი ბიზნესის მაქსიმიზაციას აკეთებს. მთავრობას ეს არ ევალება. ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ის თავისი მოგების მაქსიმიზაციაზე იყოს ორიენტირებული. გადასახადების ზრდა მხოლოდ ბიზნესისთვის არ არის. ხელისუფლებამ ნებისმიერ ბიზნესს გადასახადი რომ გაუზარდოს, მისი გარკვეული წილი მოსახლეობას დააწვება იმიტომ, რომ არ არსებობს გადასახადი, რომელიც ადამიანებთან არ მიდიოდეს. მაგალითად, კაზინოს გადასახადიც კი საბოლოო ჯამში იმ ადამიანებს აწევს ზურგზე, ვინც კაზინოში დადის, სიგარეტის გადასახადი მწეველებს აწევს და ა.შ., – განმარტა პაპავამ.

მისივე თქმით, მთავრობა მუდმივად გადასახადების შემცირებაზე საუბრობს და ამავე დროს, ითხოვს, რომ გადასახადების გაზრდის ბერკეტი ჰქონდეს, რაც არასწორია: – თუ მთავრობას რეალურად ამ მუხლის ამოღება უნდა, მაშინ მოსახლეობა უნდა დაარწმუნოს გადასახადების ზრდის სიკეთეში. ის რიტორიკა, რომ გადასახადების ზრდა ცუდია, მაგრამ თან ბერკეტად დაგვიტოვეთ, სწორი მიდგომა არ მგონია.

# პარკირების წესების დარღვევაზე 10-ლარიანი ჯარიმა აღარ გაიზრდება

საპარლამენტო უმრავლესობა პარკირების წესების დარღვევაზე 10-ლარიანი ჯარიმის შენარჩუნების მიზეზად იმ გარემოებას ასახელებს, რომ ჯარიმის გაზრდის შემთხვევაში, შემოსავალი „სითი პარკს“ გაეზრდება.

პარლამენტის მიერ აპრილში „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ განხორციელებული ცვლილებებით, ამკრძალავი ნიშნების „გაჩერება აკრძალულია“ და „დგომა აკრძალულია“ მოთხოვნის დაუცველობაზე, ასევე დგომა-გაჩერების წესების დარღვევაზე არსებული 10-ლარიანი ჯარიმის 20 ლარამდე გაზრდა გადაწყდა. გაზრდილი ჯარიმა 1-ელი ივლისიდან შედის ძალაში, თუმცა ახლა მმართველ უმრავლესობას აღნიშნულ კანონში კვლავ ცვლილებები შეაქვს და 10-ლარიან ჯარიმას ინარჩუნებს.

საკითხს პარლამენტი დაჩქარებული წესით იხილავს. როგორც ცვლილებების ერთ-ერთმა ინიციატორმა ივლიანე წულაიამ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განმარტა, ჯარიმის გაორმაგებით კომპანია „სითი პარკი“ დამატებით შემოსავალს მიიღებს და ეს თანხა დაახლოებით 5 მილიონი ლარია.

ივლიანე წულაიამ აქვე აღნიშნა, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების რეგულირების მიზნით, თბილისის მთავრობას ექსკლუზიური ხელშეკრულება სწორედ „სითი პარკთან“ აქვს გაფორმებული და კაბალური პირობების გამო, ის 2025 წლამდე ძალაში რჩება.



# 1-ელი ივლისიდან თბილისი-ბათუმის მიმართულებით მატარებლის ბილეთები გაძვირდება

ზაფხულის სეზონზე თბილისი-ბათუმის მიმართულებით მატარებლის ბილეთების ფასი იზრდება.

კერძოდ, ბილეთების ფასი 1 ივლისიდან 15-20 სექტემბრამდე პერიოდში იქნება შეცვლილი.

აღნიშნულ პერიოდში, თბილისი-ბათუმის მიმართულებით, „შტადლერის“ მატარებლებზე 1-ელი კლასის ბილეთი – 60 ლარი, მე-2 კლასი კი 24 ლარი, ხოლო ბიზნეს კლასი – 99 ლარი ეღირება. მანამდე არსებული ჩქაროსნული მატარებლების ბილეთების ფასი კი 1 ივლისიდან პირველ კლასზე – 40, ხოლო მე-2 კლასზე – 23 ლარი იქნება.



როგორც რკინიგზაში აცხადებენ, 20 სექტემბრიდან 1 ივლისამდე პერიოდში მგზავრები ფასდაკლებით სარგებლობენ, ხოლო ზაფხულში რკინიგზა ყოველწლიურად საზაფხულო ტარიფებზე გადადის.

– წლევანდელ სეზონზე ფასები ისეთივე იქნება, როგორც წინა ზაფხულს. განსხვავებული და შედარებით მაღალი იქნება ორსართულიანი „შტადლერის“ მატარებლის 1-ელი კლასის ბილეთების ღირებულება. გასულ წელს ახალი მატარებლები ზაფხულის სეზონზე შემოვიყვანეთ და რადგან რეისები ჩაანაცვლეს და სატესტო რეჟიმში მუშაობდნენ, ფასების კორექტირება აღარ მომხდარა. წინა წელს ახალ მატარებლებზეც ისეთივე ფასი იყო, როგორიც ძველ ჩინურ მატარებლებზე და ბილეთები 40 და 23 ლარი ღირდა, – აღნიშნეს რკინიგზის ცხელ ხაზზე.

20 სექტემბრიდან 1 ივლისის პერიოდში პირველი კლასის მატარებლების ბილეთი – 25 ლარი, მე-2 კლასის კი 18 ლარი ღირს ხოლმე.

# „გაზპრომი“ თურქულ ბაზარს ტოვებს?!

„გაზპრომმა“ შესაძლოა, თურქეთის ბაზარი მთლიანად დატოვოს. თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არაა. ინფორმაციას რუსული გაზეთი იტყობინება.

სხვადასხვა წყაროს მიხედვით, „გაზპრომბანკი“ კომპანია Promak-ს ტოვებს, რომელიც თურქეთში ბუნებრივი აირის რუსეთიდან ორი იმპორტიორი კომპანიის, Enerco-სა და Avrasya-ს საკონტროლო პაკეტს (60%) ფლობს.

„გაზპრომბანკი“ Promak-ის 40%-ს ფლობდა, დანარჩენი წილი კი პარტნიორებს ეკუთვნით.

ადრე „გაზპრომის“ ვიცე-პრეზიდენტმა, ალექსანდრ მედვედევმა განაცხადა, რომ კომპანია თავისი ერთ-ერთი თურქული აქტივის, Bosphorus gas-ის გაყიდვას აპირებდა. მედვედევის სიტყვებით, თურქული ბაზარი არაპროგნოზირებადს წარმოადგენს და მიმზიდველობას შესუსტებული ლირასა და ტარიფების გამო კარგავს.





# ეროვნულმა ბანკმა კიდევ 20 მილიონი დოლარი იყიდა

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2017 წლის 28 ივნისს გამართულ სავალუტო აუქციონზე 20 მლნ. აშშ დოლარი შეისყიდა. საშუალო შეწონილმა გაცვლითმა კურსმა 2.4075 შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ ბოლო 10 დღის განმავლობაში ეროვნულმა ბანკმა სავალუტო ინტერვენცია უკვე მეოთხედ განახორციელა. 10 ივნისს აუქციონზე სებ-მა 10 მილიონი დოლარი იყიდა, 20 ივნისს – 20 მილიონი დოლარი, 26 ივნისს – 20 მილიონი დოლარი. მთლიანად კი სებ-მა ამ პერიოდის განმავლობაში ბაზრიდან 70 მილიონი დოლარი ამოიღო.

# 15 აგვისტოდან ღამის საათებში ხმაური აიკრძალება



პარლამენტში რამდენიმე თვის განმავლობაში მსჯელობდნენ კანონპროექტზე, რომელიც ხმაურის შეზღუდვას ეხება.

საკანონმდებლო ორგანოში ამბობენ, რომ კანონპროექტი ძალაში 15 აგვისტოდან შევა და დაჯარიმების მექანიზმიც ამ დროიდან ამოქმედდება. პროექტის მიხედვით, მოქალაქეებს ხმაურისთვის თავდაპირველად გააფრთხილებენ, ხოლო მისი განმეორების შემთხვევაში ფიზიკურ პირებს 150 ლარით დააჯარიმებენ, ხოლო იურიდიულ პირებს – 500 ლარით. სამართალდარღვევის განმეორების შემთხვევაში ფიზიკური პირი – 300 ლარით დაჯარიმდება, ხოლო იურიდიული პირი – 1000 ლარით. კანონპროექტში არ არის განსაზღვრული ხმაურის დონეები, მაგრამ აღნიშნულია, რომ მთავრობამ 1 ივლისამდე უნდა მიიღოს რეგლამენტი ხმაურის დონის შესახებ.

ევროკავშირის ქვეყნებში ხმაურის ზღვრული დონე ასეა განსაზღვრული: საფრანგეთი – 62 დეციბალი, გერმანია – 49 დეციბალი, ნიდერლანდები – 40 დეციბალი, ფინეთი – 46 დეციბალი, შვედეთი – 51 დეციბალი, ლატვია – 40 დეციბალი.

სასტუმროებისა და რესტორნების ფედერაციის დამფუძნებლის შალვა ალავერდაშვილის თქმით, კანონპროექტი ძალაში აუცილებლად უნდა შევიდეს, მაგრამ მთავრობამ გარკვეული ფაქტორებიც უნდა გაითვალისწინოს.

– ზედმეტი ხმაურის აკრძალვა ყველა ქვეყანაშია მიღებული და ამის წინააღმდეგი არავინაა, მაგრამ უნდა გამოიყოს ტურისტული ზონები, სადაც დამსვენებლებს გართობისთვის უფრო მეტი დრო ექნებათ. მაგალითად, ავიღოთ შარდენის ქუჩა, სადაც ღამის საათებში ყოველთვის ხალხმრავლობაა. ასეთ ადგილებში მუსიკა და ხმაური რამდენიმე საათით მეტ ხანს უნდა იყოს დაშვებული, ვიდრე სხვაგან. ბუნებრივია, ხმაურის შეზღუდვა ტურისტულ წერტილებს ხელს შეუშლის, რადგან იქ ხალხი საღამოს 8-9 საათის შემდეგ იკრიბება და მათთვის სასიამოვნო სულაც არ იქნება მუსიკის აკრძალვა. უნდა გავითვალისწინოთ ასეთ ადგილას მცხოვრები ხალხის ინტერესებიც და ისიც, რომ მოსახლეობის 80% იქვეა დასაქმებული და ამ ბიზნესის წყალობით შოულობს საარსებო წყაროს, – აღნიშნავს შალვა ალავერდაშვილი.

რესტორან „ძველი მეტეხის“ დირექტორ ნუგზარ მაჭარაშვილის თქმით, რესტორნების მეპატრონეებს დამატებითი ხარჯის გაწევა მოუწევთ.

– სიტუაცია გვიკარნახებს, რა უნდა გავაკეთოთ და როგორ მოვიქცეთ. ბოლოსდაბოლოს, ხმის ჩამხშობი აპარატურის დაყენებაც შეიძლება, მაგრამ ამას დამატებითი ხარჯები დასჭირდება. ამ მოწყობილობას შენობის გადაკეთება და დამონტაჟება ხომ უნდა? თანაც, ის ხმას ნაწილობრივ ახშობს და ძალიან ხმაურიან კაფე-ბარებს და რესტორნებს მაინც ვერ უშველის. ყველაზე მეტად კი იმას გაუჭირდება, ვისაც კომერციული ფართი დაქირავებული აქვს და ასე მუშაობს, – აცხადებს ნუგზარ მაჭარაშვილი.

საქართველოს პარლამენტის წევრი ლევან გოგიჩაიშვილი ამ კანონპროექტზე უშუალოდ მუშაობდა და აცხადებს, რომ კანონი ყველა ფენის ინტერესებს მაქსიმალურად გაითვალისწინებს.

– კანონპროექტს ამ დღეებში განსახილველად გამოვიტანთ, შემდეგ – პრეზიდენტს გადაეგზავნება ხელმოსაწერად, მესამე მოსმენით კენჭს ვუყრით და 15 აგვისტოდან უკვე ძალაში შევა. ვფიქრობ, ეს კანონი ბიზნესს ნამდვილად არ დააზიანებს. მართალია, ამ ბიზნესის წარმომადგენლებს რაღაც ხარჯის გაწევა მოუწევთ, მაგრამ ერთი კაფე-ბარის, ან რესტორნის გამო ჩვენი მოსახლეობის ჯანმრთელობას კითხვის ნიშნის ქვეშ ვერ დავაყენებთ. იმის გამო, რომ რომელიმე კაფეს მფლობელს არ შეუძლია ხმის დამხშობი აპარატურის ყიდვა, ან ვიღაცას არ სურს მუსიკას დაუწიოს, სხვა ადამიანები რატომ უნდა შეწუხდნენ? – აცხადებს ლევან გოგიჩაიშვილი.

უმრავლესობის წევრი მიიჩნევს, რომ ერთ წელიწადში ყველა კმაყოფილი იქნება: ბიზნესიც და მოსახლეობაც.

– რატომ არ ვითვალისწინებთ იმ ჰოსტელების და პატარა სასტუმროების მდგომარეობას, რომლებიც გაქრობის პირას დგანან მხოლოდ იმიტომ, რომ ხმაურის გამო იქ არავინ ჩერდება? უნდა დავფიქრდეთ, რა უფრო მნიშვნელოვანია ჩვენთვის – სასტუმროების და ჰოსტელების ქსელის განვითარება თუ 2-3 პატარა კაფეს არსებობა, რომელიც ღამით ხმაურიან დისკოთეკებს აწყობს? ადამიანს, რომლის ოჯახიც იმ ადგილას ასი და ორასი წელია ცხოვრობს, ვერ ეტყვი, რომ უნდა წავიდეს და სხვაგან გადასახლდეს, – აღნიშნავს ლევან გოგიჩაიშვილი.

კანონს თავიდან საპატრულო პოლიცია დაიცავს და არამარტო მუსიკა, 11 საათის შემდეგ ნებისმიერი სახის პიროტექნიკის გამოყენებაც აიკრძალება. მოსახლეობა როგორც კი გამოიძახებს, პატრული ადგილზე მივა და თუ ხმაური ზომას აჭარბებს, კანონის დამრღვევს დააჯარიმებს. არსებობს სპეციალური ხელსაწყოები, რომელიც ხმაურის დონეს ზომავს და რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტრომ უნდა შეიძინოს. ამ კანონის დაცვა საპატრულო პოლიციას 2018 წლის 1-ელ აპრილამდე დაევალება. 2018 წლის 1-ელი აპრილიდან კი, ეს ფუნქცია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს გადაეცემა. რამდენი დეციბალი დადგინდება ზღვრულ დონედ, ეს უკვე მთავრობის საქმეა.

# თბილისში შენობა გამწვანების გარეშე ექსპლუატაციაში აღარ შევა

თბილისის მერია ახალ ინიციატივაზე მუშაობს, რომლის მიხედვითაც შენობა გამწვანების გარეშე ექსპლუატაციაში არ შევა, – ამის შესახებ „საქმის კურსს“ თბილისის მერიის გამწვანების სამსახურის იურისტმა ლიკა ჭაჭუკაშვილმა განუცხადა.

მისი თქმით, ინიციატივა დამუშავების ეტაპზეა და მასში სხვადასხვა სამსახურია ჩართული, მათ შორის არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურები, რომელთაც უშუალოდ ევალებათ ექსპლუატაციაში შესვლის ნებართვის გაცემა. ლიკა ჭაჭუკაშვილი ამბობს, რომ ჯერჯერობით შეუძლებელია თქმა, როდის შეიძლება ინიციატივა საბოლოოდ ჩამოყალიბდეს.

– ეს ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, როდის გაივლიან შესაბამისი უწყებები ყველა დეტალს, – აცხადებს იურისტი.

# თბილისური ვენდეტა — 27 წლის გიორგი ფირცხელიანის მკვლელობის დეტალები და ვერსიები

„საძმოებს“ შორის სისხლიანი გარჩევები და კრიმინალური ანგარიშსწორებები 90-იანი წლების თბილისის თითქმის ყოველდღიურობა იყო. სამწუხაროდ, მრავალი წლების შემდეგ, თბილისურ ვენდეტას კვლავ ეწირება უამრავი ახალგაზრდა — დედაქალაქის ცენტრალურ ნაწილში ისინი ერთმანეთს სასტიკად უსწორდებიან.

24 ივნისს ვაჟა-ფშაველას პირველ კვარტალში, სტადიონზე 27 წლის გიორგი ფირცხელიანი ჩაცხრილეს. პოლიცია ახალგაზრდა მამაკაცის მკვლელობაში ბრალდებულს ამ დრომდე ეძებს.

„ნიუპოსტს“ შემთხვევის ადგილზე უყვებიან, რომ ფირცხელიანს ნუცუბიძის ქუჩიდან ვაჟა-ფშაველას მიმართულებით შეიარაღებული ახალგაზრდა მამაკაცი მისდევდა, რომელმაც დევნის მომენტში მას ორი ტყვია ესროლა. დაჭრილი ახალგაზრდა განწირული ყვირილით (არ მომკლათ — ადგილობრივის მონაყოლი-ავტ.) სტადიონზე შევარდა, რა დროსაც მას დაახლოებით ხუთი ტყვია მიჯრით დაახალეს. როგორც ყვებიან, სასტიკ სურათს მოზარდებიც შეესწრნენ, რომლებიც შემთხვევის დროს სტადიონის მიმდებარედ იყვნენ.

ახალგაზრდა საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა. ექიმების თქმით, ყელისა და მუცლის არეში მიყენებული ჭრილობა სასიკვდილო აღმოჩნდა.

მედიისთვის ბრალდებულის ვინაობა და მკვლელობის ოფიციალური მოტივი უცნობია. შინაგან საქმეთა სამინისტროში მხოლოდ ის გვითხრეს, რომ ვაჟა-ფშაველას გამზირზე მომხდარი განზრახ მკვლელობის ფაქტი გახსნილია. დამნაშავე პირის ვინაობა დადგენილია და ამჟამად მის დასაკავებლად ინტენსიური ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებები მიმდინარეობს.

ამის პარალელურად „ნიუპოსტისთვის“ სასტიკი მკვლელობის შესაძლო მოტივის შესახებ ხდება ცნობილი.




როგორც გიორგი ფირცხელიანის ახლობლები პირად საუბარში აცხადებენ, 27 წლის ახალგაზრდა შემთხვევით მოკლეს. უფრო კონკრეტულად, პირი, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, აცხადებს, რომ ბრალდებულს მკვლელობამდე რამდენიმე ხნით ადრე კონფლიქტი მოუვიდა გარდაცვლილის ახლობელთან და საბედისწერო ღამეს გიორგი მასში აერია.

„ნიუპოსტის“ სხვა წყარო ყვება, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ მკვლელობის ადგილის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ვიდეო-სათვალთვალო კამერებიდან ჩანაწერები იმავე ღამეს ამოიღო და დამნაშავის იდენტიფიცირებაც რამდენიმე საათში მოხდა — ეს ბუნდოვანი კრიმინალური საქმის ერთი ვერსიაა, მეორე ვარაუდის მიხედვით კი, 27 წლის ახალგაზრდა კაცის სადისტური მკვლელობა, შესაძლოა, 8 წლის წინ მომხდარ დაჭრას უკავშირდებოდეს.

კერძოდ, 2009 წლის 24 აგვისტოს, ქუთაისში ორი ახალგაზრდა აკაკი დევიძე და თეიმურაზ მეფარიშვილი დაჭრეს. საგამოძიებო მასალების მიხედვით, მკვლელობის მცდელობაში ბრალდებული 19 წლის გიორგი ფირცხელიანი დააკავეს.

შს სამინისტროში აცხადებდნენ, რომ დაკავებულმა ცეცხლსასროლი იარაღით აკაკი დევაძე თავის არეში, თეიმურაზ მეფარიშვილი კი მუცლის არეში დაჭრა.

დაკავებულმა დანაშაული აღიარა და სასჯელიც მოიხადა. მოარული ხმები სწორედ ამიტომ ვარაუდობენ, რომ ვაჟა-ფშაველაზე მომხდარი მკვლელობა 8 წლის წინ დაიგეგმა.

ვაჟა-ფშაველას გამზირზე მომხდარი განზრახ მკვლელობის ფაქტს თბილისურ ვენდეტას უწოდებს გარდაცვლილის ახლობლების ნაწილი.

მათი ვარაუდი სრულიად განსხვავდება ზემოთ მოყვანილი ფაქტებისგან. გიორგი ფირცხელიანის ბურუსით მოცულმა მკვლელობამ დღის სინათლეზე ამოატივტივა „სადახლოს საქმე“. „ნიუპოსტს“ თემის მომზადებისას კონფიდენციალურმა წყარომ უთხრა, რომ 27 წლის ბიჭის მკვლელობა, შესაძლოა, 2013 წელს საქართველო-სომხეთის საზღვარზე მომხდარი სისხლიანი კრიმინალური გარჩევის გაგრძელებაც იყოს.

შეგახსენებთ რომ 25 ნოემბერს, სადახლოს, სასაზღვრო გამშვები პუნქტის შიდა პერიმეტრზე, მოწმეების, ვიდეო-კამერებისა და მესაზღვრეების თვალწინ, შეიარაღებულმა თავდამსხმელებმა ორი პირი — მერაბ კალანდაძე და 21 წლის გიორგი ფირალიშვილი მოკლეს, ხოლო დილარ მუკბანიანი მძიმედ დაჭრეს.

მოკლული მერაბ კალანდაძე, გიორგი ფირალიშვილისა და დაჭრილი დილარ მუკბანიანის მამების მეგობარი იყო და ის მეგობრის შვილებს საზღვარზე აცილებდა, რათა მოსალოდნელი შურისძიებისგან ეხსნა.

კრიმინალური ფაქტი შურისძიებას უკავშირდებოდა. სადახლოზე მომხდარ თავდასხმამდე რამდენიმე დღით ადრე გიორგი ფირალიშვილსა და დილარ მუკბანიანს თავდამსხმელებთან ჩხუბი მოუვიდათ, რომლის შედეგადაც 6 დაკავებულიდან ერთ-ერთის ძმა დაიჭრა.

სადახლოზე მომხდარ მკვლელობაში ბრალდებულებს: არჩილ გოგიშვილს, გიორგი ნავერიანს, ზურაბ კუხალაშვილს და შოთა ჭელიძეს რუსთავის საქალაქო სასამართლომ 17 წლიანი პატიმრობა შეუფარდა.

თბილისში გავრცელებული ხმების მიხედვით, გიორგი ფირცხელიანი ბრალდებულ ნავერიანის ახლობელი იყო და არ არის გამორიცხული, ახალგაზრდა სწორედ ამ ნათესაურ კავშირს შეეწირა.

თემის სიმძიმიდან გამომდინარე „ნიუპოსტი“ მოკლულის ოჯახის წევრებთან კონტაქტს მოერიდა. თუ გიორგი ფირცხელიანის ოჯახის წევრები ზემოთ მოყვანილი ვერსიების ირგვლივ კომენტარის გაკეთებას ისურვებენ, რედაქცია მზად არის მათი პოზიცია უცვლელად გააჟღეროს.

# სააპელაციო სასამართლომ კუდის ყოფილი თანამშრომელი თემურ სალაყაია გაამართლა

საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის შუამდგომლობით, 2017 წლის 27 ივნისს, თბილისის სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ თემურ სალაყაიას მიმართ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა. ინფორმაციას ამის შესახებ პროკურატურა ავრცელებს:



— საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილების შემდეგ, ამავე კოდექსის 310-ე მუხლის „ზ1“ ქვეპუნქტის საფუძველზე, 2016 წლის 25 ივლისს, ახალმა დეპარტამენტმა მსჯავრდებულ თემურ სალაყაიას მიმართ განაჩენის გადასინჯვის გადაწყვეტილება მიიღო. ამ გადაწყვეტილების მიღებამდე, აღნიშნულ საქმეებზე ჩატარდა ხელახალი სრულყოფილი და ობიექტური გამოძიება, დაიკითხნენ ახალი მოწმეები, ჩატარდა ათეულობით საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება, შესწავლილ იქნა საგამოძიებო და სასამართლო საქმის მასალები, მოპოვებულ იქნა ახალი მტკიცებულებები და ფაქტები, რის შედეგადაც სრულად გამოირიცხა თემურ სალაყაიას მხრიდან დანაშაულის ჩადენის ფაქტი.

კერძოდ, გამოძიებით დადგინდა, რომ შსს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი თანამშრომელი თემურ სალაყაია მხოლოდ იმიტომ იყო დაკავებული, რომ მის მიმართ არსებობდა ეჭვი ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილ პოლიტიკურ პარტიასთან კავშირის თაობაზე. კერძოდ, 2012 წლის 02 ივნისს, თემურ სალაყაია თავის მეუღლესთან ერთად ავტომანქანით საკუთარი სახლის მიმართულებით გადაადგილდებოდა, რა დროსაც იგი სამსახურიდან გამოიძახეს და ჭანტურიას ქუჩაზე, ეკონომიკის სამინისტროს მიმდებარე ტერიტორიაზე მისვლა სთხოვეს. ადგილზე, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის და შსს ძველი თბილისის სამმართველოს თანამშრომლების ერთობლივი მოქმედებით მოხდა თემურ სალაყაიას დაკავების ინსცენირება იმ საფუძვლით, რომ თითქოს მან უკანონოდ შეიძინა და ინახავდა ნარკოტიკულ საშუალება „ჰეროინს“. დაკავებული თემურ სალაყაია გადაიყვანეს შსს ძველი თბილისის განყოფილებაში, სადაც მას სთხოვდნენ ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიასთან თანამშრომლობის აღიარებას, რასაც დაკავებული კატეგორიულად უარყოფდა.

2012 წლის 04 ივნისს, მას წარედგინა ცრუ ბრალდება ნარკოტიკული საშუალების შეძენა, შენახვისთვის, აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა და შესახლებულ იქნა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. საპატიმროდან მისი გათავისუფლება მხოლოდ 2012 წლის 05 ოქტომბერს, ხელისუფლების ცვლილების შემდეგ მოხერხდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ პროკურატურის მიერ წარდგენილი ახლად გამოვლენილი გარემოებებისა და მტკიცებულებების საფუძველზე მსჯავრდებული სრულად გაამართლა.

პროცესს, რომელიც მთავარ პროკურატურაში შექმნილმა ახალმა დეპარტამენტმა უკანონოდ გასამართლებული პირების განაჩენების გადასინჯვისა და მათი დარღვეული უფლებების აღდგენის მიზნით დაიწყო, შეუქცევადი ხასიათი აქვს. დღეის მდგომარეობით, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შუამდგომლობით პროკურატურამ სააპელაციო სასამართლოს 24 მსჯავრდებულის საქმეზე მიმართა, საიდანაც 9 პირის მიმართ უკვე დადგა გამამართლებელი განაჩენი, — აღნიშნულია უწყების განცხადებაში.

## ცრუ განგაში ავლაბარში — საეჭვო ჩანთაში ტანსაცმელი აღმოჩნდა

ავლაბარში, გონაშვილის ქუჩაზე დატოვებულ ჩანთაში გამნაღმველებმა ტანსაცმელი იპოვეს. ინფორმაცია „ნიუპოსტს“ შს სამინისტროში დაუდასტურეს.

მეტრო „ავლაბრის“ ტერიტორია მას შემდეგ გადაკეტეს, რაც 112 -ში შეტყობინება შევიდა.

თვითმხილველებმა „ნიუპოსტს“ უთხრეს, რომ ჩანთა დილის საათებში შენიშნეს და სამართალდამცველები გამოიძახეს.

## გლდანში მეხუთე სართულიდან 6 წლის ბავშვი გადმოვარდა

გლდანში, საცხოვრებელი კორპუსის მეხუთე სართულიდან 6 წლის ბავშვი გადმოვარდა, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება სსკ-ის 116-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობას გულისხმობს.

## რუსთავში, მამაკაცმა ტირის თოფით ლეკვი მოკლა

რუსთავში ბალანჩივაძის ქუჩაზე 45 წლამდე მამაკაცმა ლეკვი ტირის თოფით მოკლა.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 259-ე მუხლით აღიძრა, რაც ცხოველებისადმი სასტიკ მოპყრობას გულისხმობს.

## მკვლელობა ნინოწმინდაში — 71 წლის მამაკაცმა ცოლს ყელი გამოჭრა

ნინოწმინდის რაიონის სოფელ ყაურმაში, 71 წლის მამაკაცმა მეუღლეს ცივი იარაღით ყელი გამოჭრა.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, ცხელ კვალზე დაკავებულია ერთი პირი, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის, 11 პრიმა 108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ოჯახში ჩადენილი განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

## ხაშურში დაცვის პოლიციის თანამშრომელი გაუჩინარდა

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხრამუხის მკვიდრი, ზვიად კოპაძე გაუჩინარდა. ამის შესახებ „ნიუპოსტის“ კორესპონდენტი ადგილობრივებზე დაყრდნობით იტყობინება. არსებული ინფორმაციით, მამაკაცი ბოლოს სამი დღის წინ ნახეს. ოჯახი დაკარგულის ფოტოებს ავრცელებს და დახმარებას ითხოვს. ზვიად კოპაძე დაცვის პოლიციის თანამშრომელია.

— ცხრამუხის მკვიდრი ზვიად კოპაძე თუ ვინმემ ნახეთ სადმე, აუცილებლად დაგვიკავშირდით 591-31-01-41, იკითხეთ ია ან მოგვწერეთ პირად შეტყობინებაში, — ნათქვამია სოციალურ ქსელებში გავრცელებულ განცხადებაში.

## რუსთავში მომხდარ ავარიას ერთი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა

რუსთავში გვიან ღამით მომხდარი ავარიის შედეგად შუახნის ქალი გარდაიცვალა, მისი შვილიშვილი კი საავადმყოფოში იმყოფება. 13 წლის მოზარდის მდგომარეობა მძიმეა.

თვითმხილველების განცხადებით, შემთხვევა ლეონიძის ქუჩაზე მოხდა. ფეხით მოსიარულე ბებიას და შვილიშვილს „მერსედესის“ მარკის ავტომობილი შეეჯახა. მძღოლი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება.

## სტამბოლში გარდაცვლილი ბუნა ხოტოველის ოჯახის წევრები საქართველოს საელჩოს მიმართავენ

სტამბოლში გარდაცვლილი ბუნა ხოტოველის ოჯახის წევრები საქართველოს საელჩოს მიმართავენ. ოჯახი მიმდინარე გამოძიების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას ითხოვს.

ოჯახის წევრები დიპლომატიურ უწყებას სთხოვენ, გამოითხოვონ ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ. ასევე, სამართალდამცავებმა ამოიღონ შემთხვევის ადგილის მიმდებარე ტერიტორიაზე დამონტაჟებული სათვალთვალო კამერების ვიდეო ჩანაწერები.

როგორც ცნობილია, გამოძიება ორ ძირითად ვერსიაზე, უბედურ შემთხვევასა და თვითმკვლელობაზე მუშაობს. ოჯახი თვითმკვლელობას გამორიცხავს.

# ვენესუელაში სამხედროებმა ვერტმფრენი გაიტაცეს

ვენესუელაში სისხლიანი შეტაკებები გრძელდება. სამხედროთა ჯგუფმა, რომელსაც პოლკოვნიკი პერესი მეთაურობდა, პოლიციის ვერტმფრენი გაიტაცა. ამ ვერტმფრენიდან კარაკასში ჩამოყარეს ფურცლები, სადაც მოსახლეობას მთავრობის წინააღმდეგ აჯანყებისკენ მოუწოდებენ.



– ჩვენ არც ერთ პარტიას არ განვეკუთვნებით, უბრალოდ გვსურს, ამჟამინდელი კრიმინალური რეჟიმი დასრულდეს და დემოკრატია აღდგეს, – ნათქვამია ფურცლებში.

პრეზიდენტმა მადურომ განაცხადა, რომ ხსენებული ვერტმფრენიდან პარლამენტის შენობის მიმართულებით ცეცხლი გახსნეს. მადურომ ოპოზიცია ტერორიზმში დაადანაშაულა.

– ის, რაც ქვეყანაში ხდება, ვერანაირ ჩარჩოებში ვერ ჯდება! ოპოზიცია ტერორზე გადავიდა, – ამბობს მადურო.

დამოუკიდებელი წყაროები არ ადასტურებენ იმას, რომ პარლამენტს ცეცხლი ვერტმფრენიდან გაუხსნეს.

– გასროლა სხვა მხრიდან მოხდა. ეს სავარაუდოდ მადუროს სპეცსამსახურების პროვოკაციაა, – აცხადებენ ისინი.

მიუხედავად ამისა, ხელისუფლებამ საპროტესტო აქციების დაშლა კვლავ სცადა. ამას მორიგი შეტაკება მოჰყვა. დაზარალებულნი ორივე მხრიდან არიან.

დღეისთვის მთავრობასა და მანიფესტანტებს შორის შეტაკებებისას 70-მდე ადამიანია დაღუპული.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# კუზმუკი: „რუსებმა შაპოვალზე შური იძიეს"



27 ივნისს კიევის ცენტრში ააფეთქეს უკრაინის სამხედრო დაზვერვის სპეცრაზმის მეთაური, პოლკოვნიკი მაქსიმ შაპოვალი.

უკრაინის თავდაცვის ექსმინისტრი, გენერალი ალექსანდრე კუზმუკი მიიჩნევს, რომ შაპოვალი რუსული სპეცსამსახურების მიერ იქნა ლიკვიდირებული.

– შაპოვალის ხელმძღვანელობით შეგროვილ იქნა უამრავი მასალა, რომლითაც დამტკიცდა, რომ დონბასში მიმდინარეობს რუსული აგრესია და არა – სამოქალაქო ომი. პრო-კრემლური პროპაგანდა საერთაშორისო დონეზე გაბათილდა, რამაც ჰააგის ტრიბუნალის მიერ უკრაინისთვის სასარგებლო ვერდიქტის მიღება განაპირობა. რუსებმაც ამის გამო შაპოვალზე შური იძიეს! – ამბობს კუზმუკი.

ტერაქტიდან რამდენიმე საათის შემდეგ უკრაინაზე კიბერშეტევაც განხორციელდა. მწყობრიდან იქნა გამოყვანილი უკრაინის მინისტრთა კაბინეტის, კიევენერგოს, კიევის აეროპორტის, უკრაინის რკინიგზის მთავარი სამმართველოს, აგრეთვე ჩერნობილის ატომური სადგურის კომპიუტერები.

უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრის მრჩეველმა ილია კივამ განაცხადა, რომ კიბერშეტევა რუსეთმა განახორციელა. უშიშროების საბჭოს მდივანმა ტურჩინოვმა ეს ინფორმაცია დაადასტურა.

– ჩვენი სპეციალისტები კიბერუსაფრთხოების დარგში იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ კიბერშეტევა რუსეთმა განახორციელა, – თქვა მან.

# რექს ტილერსონი კატარის საგარეო მინისტრს შეხვდა



ვაშინგტონში კატარის საგარეო მინისტრი ალ-ტანი ჩავიდა.

ის აშშ-ის სახელმწიფო მდივან რექს ტილერსონს შეხვდა. მოლაპარაკებების ძირითადი თემა სპარსეთის ყურეში შექმნილი მდგომარეობა იყო.

ტილერსონმა არაბულ ქვეყნებს კვლავ მოუწოდა, რომ კატარის წინააღმდეგ სანქციები შეარბილონ. სახელმწიფო მდივანი განაგრძობს ლავირებას კატარსა და საუდის არაბეთს შორის.

## კალეიდოსკოპი

## ემირატების პრინცესები ბელგიის სასამართლომ დამნაშავედ ცნო



არაბთა გაერთიანებული საემიროების მმართველი ოჯახის პრინცესა შეკხა ალ-ნახაიანსა და მის შვიდ ქალიშვილს 15 თვით პირობითი პატიმრობა მიესაჯათ. ასევე მათ დაეკისრათ 165 ათასი ევროს გადახდა ჯარიმის სახით მოსამსახურეების მიმართ უპატივცემულობისა და ადამიანების უკანონოდ გადაყვანისთვის. შესაბამისი გადაწყვეტილება ბრიუსელის სასამართლომ მიიღო.

სასამართლო პროცესი მიმდინარე წლის მაისში ცხრაწლიანი გამოძიების შემდეგ დაიწყო. როგორც მაშინდელი პრესა იუწყებოდა, ქალბატონებს ბრალად წაუყენეს ადამიანების უკანონოდ გადაყვანა და მათ მიმართ „არაადამიანური მოპყრობა". ასევე ისინი ეჭვმიტანილები იყვნენ ბელგიის სამუშაო კანონმდებლობის დარღვევაში. დანაშაულებრივ ეპიზოდებს ადგილი ჰქონდა 2007-დან 2008 წლის ჩათვლით, როდესაც პრინცესები ბელგიის დედაქალაქში იმყოფებოდნენ. ერთ-ერთმა მსახურმა, რომელმაც გაქცევა მოახერხა, საჩივრით მიმართა პოლიციას.

პრინცესები ცხოვრობდნენ სასტუმრო ჩონრად-ში, სადაც მათ მთელი სართული ჰქონდათ დაქირავებული. მათ თან ახლდათ 20-ზე მეტი ქალი, რომლებიც მათ ემსახურებოდნენ. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მოსამსახურეები პრაქტიკულად არ იღებდნენ ანაზღაურებას მათ მიერ შესრულებული სამუშაოსთვის, ზოგიერთ მათგანს იატაკზე ძილიც კი უწევდა და საკვებსაც არასაკმარისს იღებდნენ. გარდა ამისა, პრინცესები უხეშად ეპყრობოდნენ გოგონებს, უყვიროდნენ და ამცირებდნენ. რამდენიმე მსახურს ასევე არ ჰქონდა ვიზა.

## ტაილანდში უზარმაზარი პითონი ათი წლის გოგონას ოთახში დაიჭირეს



ტაილანდის პროვინცია ჩაჩენგსაუში ოთხი მეტრი სიგრძის პითონი ათი წლის გოგონას ოთახში აღმოაჩინეს.

რამდენიმე მამაკაცმა მოახერხა დიდი ქვეწარმავლის დაჭერა, რომელიც ჭერქვეშ იმალებოდა.. მათ საკმაო წვალება დასჭირდათ იმისთვის, რომ ცხოველი დაემორჩილებინათ და ტომარაში მოეთავსებინათ. ამის შემდეგ რეპტილია მისთვის ჩვეულ გარემოში გაიყვანეს და გაუშვეს.

ამ მოვლენის ამსახველი ვიდეორგოლი ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ სოციალურ ქსელ ფეისბუქში გამოაქვეყნა და ის 70 ათასზე მეტმა ინტერნეტ-მომხმარებელმა ნახა.

## 41 წლის ტაივანელი დიზაინერი ოცი წლის გოგონასავით გამოიყურება



კუნძულ ტაივანის მცხოვრებმა ქალმა სოციალურ ქსელებში პოპულარობა მას შემდეგ მოიხვეჭა, როდესაც ინტერნეტ-მომხმარებლებმა შენიშნეს, რომ ის საკუთარ ასაკთან შედარებით ორჯერ უფრო ახალგაზრდულად გამოიყურება.

41 წლის ლუჟე ნსუ ინტერიერის დიზაინერად მუშაობს. მისი თქმით, ის ახალგაზრდული გარეგნობის შენარჩუნებას დიეტის წყალობით ახერხებს, რომელშიც ბოსტნეული სჭარბობს. ასევე, დღის განმავლობაში ის ბევრ წყალს სვამს.

ლუჟე ნსუს ჰყავს უმცროსი და შერონი, რომელიც მსახიობად მუშაობს. 35 წლის დაც ასევე ასაკთან შედარებით ახალგაზრდულად გამოიყურება. 2015 წელს დები ერთად მონაწილეობდნენ ადგილობრივ გასართობ ტელეშოუში. ამის შემდეგ სოციალურ ქსელებში მათი აკაუნტი ინტერნეტ-მომხმარებელთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს.

## ინდოეთის სოფელს ტრამპის სახელი დაარქვეს




ერთ-ერთი საქველმოქმედო ორგანიზაციის ინიციატივით, რომელიც ინდოეთში ტუალეტების ნაკლებობას ებრძვის, პატარა ინდურ სოფელს აშშ-ის პრეზიდენტის პატივსაცემად ტრამპი დაერქვა.

სოფლის მცხოვრებთა დიდ უმრავლესობას, რომელსაც ამიერიდან ტრამპ-სულაბი ეწოდება, არაფერი სმენია ამერიკის პრეზიდენტის შესახებ. სოფლის უხუცესები დათანხმდნენ სოფლისთვის სახელის გადარქმევაზე, როდესაც ორგანიზაცია მათ დაჰპირდა, რომ ყოველ სახლთან უფასოდ გაუკეთებენ ტუალეტის ორმოებს.

სოფლისთვის სახელის გადარქმევის ცერემონიას ესწრებოდნენ ჟურნალისტები. ქუჩებში დადგეს ტრამპის პორტრეტები. ორგანიზატორებმა ადგილობრივებს ასწავლეს დაეყვირათ „ზინდაბად" („გაუმარჯოს") ყოველ ჯერზე, როდესაც აშშ-ის პრეზიდენტის გვარს გაიგონებდნენ.

აღსანიშნავია, რომ ინდოეთის მოსახლეობის 60 პროცენტზე მეტისთვის მიუწვდომელია ტუალეტი და იძულებულები არიან ბუნებრივი მოთხოვნილება პირდაპირ ქუჩაში დაიკმაყოფილონ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვალერი ურიდია: საახალწლო სამზადისის დროს მივიღე მე-3 ხარისხის დამწვრობა. მივმართე საავადმყოფოს. ორი დღის განმავლობაში მდგომარეობა ძალიან დამიმძიმდა. გვირჩიეს ლამარა თოდუას მალამო. პირველი პროცედურის შემდეგ ვიგრძენი, რომ ტკივილი ნელ-ნელა ქრებოდა. სამი პროცედურის შემდეგ ნორმალური ძილი და ჭამა შევძელი. ლამარა თოდუას მალამომ მთლიანად მომიშუშა დამწვარი ფეხები, ხელის მტევნები და სახე, ისე, რომ ნაწიბურც არ მემჩნევა.**

**თამარ ხარხელი: მყავს 78 წლის ლოგინს მიჯაჭვული დედა. გაუჩნდა ნაწოლები. მივმართე ლამარა თოდუას. მისმა მალამოებმა და ლოსიონმა დედაჩემს შვება მოჰგვარა და ორი კვირის მკურნალობის შემდეგ ნაწოლების ადგილზე სიწითლეც აღარ შეინიშნება.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

### გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

### მკურნალობა

● ალკოჰოლიზმი, „პახმელია", „ზაპოი", ალკოჰოლიზმისაგან გამოწვეული ნევროზი, უძილობა, აგრესიულობა, ღვიძლის პრობლემების მოწესრიგება – მცენარეული, შედეგიანი, მეტეხისა და ბეთლემის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში.სიგარეტის მიტოვება მცენარეული, უსაფრთხო გარანტირებული პრეპარატით. უკუჩვენება გამორიცხულია. ტელ: 599-45-88-66; 555-45-13-45.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემები – გასტრიტი, კუჭის წვენის დაბალი და მაღალი მჟავიანობა, კუჭშეკრულობა, კუჭაშლილობა და ა.შ. ნერვული სისტემის, სახსრების, პოტენციის და კანის სხვადასხვა პრობლემების მოწესრიგება. ბეთლემისა და მეტეხის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები უსაფრთხოა. ტელ:558-34-36-24.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# ქართული კლუბების მეტოქეები ევროტურნირებზე

დღეს ქართული კლუბები ევრომატჩებს იწყებენ. 2017-18 წლების სეზონის უეფას ევროპა ლიგის გათამაშების პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ქუთაისის ტორპედო, საჩხერის ჩიხურა და ბათუმის დინამო იასპარეზებენ.

დიდი მოლოდინით ნამდვილად არ ვართ – ჩვენი კლუბების შემხედვარე ერთი ეტაპის გავლაც კი შედეგი იქნება. ეს მაშინ, როდესაც მეტოქე კლუბები დიდი სახელებითა და ამბიციებით ვერ დაიკვეხნიან.

გვინდა გაგაცნოთ ჩვენი მეტოქეები და პარალელურად ქართული კლუბების განაცხადი ევროპის ლიგაზე.



### ტრენჩინი (სლოვაკეთი)

ტორპედოს მეტოქე სლოვაკური ტრენჩინი იქნება, რომლის საშინაო არენა – სტადიონ ნა სიჰოტი ისტორიაში პირველად უმასპინძლებს ევროპის საკლუბო ტურნირის მატჩს. აქამდე ტრენჩინი ამ დონის საშინაო თამაშებს მეზობელ ქალაქებში, მეტწილად ჟილინაში ატარებდა.

პატარა სტადიონია – 3.500 მაყურებელზეა გათვლილი. ტრენჩინი კი 1943 წელს დაარსდა და თავდაპირველად ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონატში იღებდა მონაწილეობას. პირველი წარმატება 20 წლის თავზე მოვიდა, როდესაც გუნდმა ჩემპიონატში მე-2 ადგილი დაიკავა.

ეს იყო და ეს... ჩეხეთთან გამოყოფის შემდეგ გუნდმა იწვალა და მხოლოდ 2015 და 2016 წლებში მოიპოვა სლოვაკეთის ჩემპიონის ტიტული და სლოვაკეთის თასი. გასული სეზონი წინანდელივით წარმატებული ვერ გამოუვიდა, მაგრამ მეოთხე ადგილი მაინც დაიკავა და ევროპა ლიგის საგზურიც ერგო.

ტრენჩინის ევროპული ისტორია 1966 წლით იწყება, როდესაც მიტროპის თასზე ორი ეტაპი გაიარა. იგივე ტურნირში ტრენჩინი 1967-68 წლებშიც ჩაერთო, მაგრამ პირველივე ეტაპზე დამარცხდა. ევროპაში დაბრუნება 1998 წელს, ინტერტოტოს თასზე შედგა. ამ ტურნირზე ტრენჩინმა 1999, 2000, 2002 წლებშიც ითამაშა, თუმცა, ყოველთვის წარუმატებლად. ევროპა ლიგას კი, პირველად 2013-14 წლებში შეუერთდა და ორჯერ მხოლოდ ერთი ეტაპის დაძლევა მოახერხა.

შემდეგ ჯერი ჩემპიონთა ლიგაზე დადგა: 2015-16 წლების სეზონში პირველივე ეტაპზე გამოვარდნენ. გასულ სეზონში კი უკეთ გამოვიდა და ერთი ეტაპი გაიარა.

ტრენჩინი ევროსარბიელზე ბოლო წლებში სტაბილურად თამაშობს. მართალია, შედეგებით ვერ დაიკვეხნის, მაგრამ...

2007 წელს ტრენჩინის აქციები აიაქსისა და ჰოლანდიის ეროვნული ნაკრების ყოფილმა თავდამსხმელმა ლა ლინმა სრულად შეიძინა და მისი ახალი მფლობელი გახდა. ლინმა მისვლისთანავე განაცხადა, რომ კლუბი სლოვაკურ ფეხბურთში დომინანტი იქნებოდა და რეგულარულად ითამაშებდა ჩემპიონთა ლიგაში. თუმცა, პირველივე სეზონის შემდეგ გუნდი სლოვაკეთის მეორე დივიზიონში ჩამოქვეითდა და ლა ლინის დაპირებაც ამაო აღმოჩნდა.

გუნდს აღებული კურსი არ შეუცვლია. კლუბის ხელმძღვანელებს უწევთ ეძებონ იაფი, მაგრამ პერსპექტიული მოთამაშეები მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ისინი ამას აკეთებენ სკაუტების დიდი ქსელით.

ერთ-ერთი ასეთი ფეხბურთელი ქართველი აღმოჩნდა – ტრენჩინში გასული სეზონის მეორე ნახევარი იჯარით 20 წლის ქართველმა შემტევმა, ნახევარმცველმა გიორგი ბერიძემ გაატარა, რომელმაც 12 მატჩი ჩაატარა და 4 გოლი გაიტანა. ბერიძეს იჯარა ცოტა ხნის წინ გაუხანგრძლივეს.

სხვა ლეგიონერებზე ბევრი სათქმელი არც არაფერია. ერთია, ტრენჩინი საკმაოდ ახალგაზრდული გუნდია. მაგალითად, ყველაზე ასაკოვანი 29 წლის მეკარე იგორ სემრინეჩია. საშუალო ასაკი კი, 21-22 წლამდე მერყეობს.

ტრენჩინს ერთ-ერთი საუკეთესო აკადემია აქვს. ბავშვებთან ჰოლანდიელი სპეციალისტები მუშაობენ. ყველა ასაკობრივი გუნდი ერთი სათამაშო სქემით ასპარეზობს.

**ტორპედოს** განაცხადი ევროპა ლიგაზე:

**მეკარეები:** როინ კვასხვაძე, მაქსიმე ქვილითაია, კახაბერ მეშველიანი;

**მცველები:** ვაჟა ტაბატაძე, დავით ხურცილავა, გურამ ადამაძე, ანრი ჭიჭინაძე, გიორგი გურული, გიორგი ქიმაძე, შალვა ბურჯანაძე;

**ნახევარმცველები:** ოლეგ მამასახლისი, მერაბ გიგაური, შოთა ბაბუნაშვილი, მათე კვირკვია, დავით ხურციძე, გრიგოლ დოლიძე, ბექა ტუღუში, ნიკო კვასხვაძე, გიორგი კუხიანიძე;

**თავდამსხმელები:** თორნიკე კაპანაძე, ლაშა კუჭუხიძე, გაბრიელ საღრიშვილი.

### ალტახი (ავსტრია)

საქართველოს ვიცე-ჩემპიონ საჩხერის ჩიხურას ევროპალიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე მეტოქედ ავსტრიული ალტახი ჰყავს. ძველი კლუბი, რომელიც 1929 წელს დაარსდა და საშინაო მატჩებს „შნაბელჰორცის" (8.500 მაყურებელი) სტადიონზე ატარებს. ამჟამად გუნდის მთავარი სპონსორი ბუქმეიქერული კომპანია ქეშპონტია და სტადიონსაც დღეს ეს სახელი ეწოდება.

ალტახი პატარა ქალაქია ავსტრიის დასავლეთში, შვეიცარიის საზღვართან. ქალაქში დაახლოებით 6.500 მცხოვრებია.

ალტახის მთავარი მწვრთნელი ადგილობრივი სპეციალისტი კლაუს შმიდტია. აქამდე მას რომელიმე განსაკუთრებულად ცნობილ კლუბში არ უმუშავია. ჩიხურას მეტოქეს სულ 4 ლეგიონერი ჰყავს. ალტახის ერთ-ერთ ლიდერად კამერუნის ნაკრების წევრი, 23 წლის ნახევარმცველი მუმი ნგამალე ეროვნულ გუნდს კონფედერაციათა თასზე ახლდა, მაგრამ მისი ნაკრები ჯგუფიდან ვერ გავიდა და კლუბს დაუბრუნდა.

გუნდი ავსტრიის ბუნდესლიგაში მე-4 ადგილზე გავიდა, მაგრამ ბოლოს 11 მარტს მოიგო... ბოლო 11 მატჩი გუნდმა ალტახმა პირწმინდად ჩააგდო და შვიდჯერ წააგო, ოთხჯერ კი ფრედ ითამაშა. აღსანიშნავია, რომ ავსტრიაში მე-4 ადგილი ევროთასებზე თამაშის უფლებას არ იძლევა, მაგრამ ავსტრიის თასის გამარჯვებული ჩემპიონი ზალცბურგი გახდა და ჩიხურას მეტოქემ ევროპა ლიგის საგზური ასე მოიპოვა.

ალტახი აქამდე მხოლოდ ერთხელ გასულა ევროტურნირებზე. 2015 წელს ევროპა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ერთი პორტუგალიური გუნდი გიმარაეში კი გამოთიშა ასპარეზობას, მაგრამ შემდეგ ეტაპზეც ისევ პორტუგალიურ ბელენენსეში შეხვდა და მათთან კი დამარცხდა.

**ჩიხურას** განაცხადი ევროპა ლიგაზე:

**მეკარეები:** ზურაბ მწყერაშვილი, დინო ჰამზიჩი, ნიკა ქავთარაძე;

**მცველები:** თორნიკე გრიგალაშვილი, ბაქარ მირცხულავა, ლევან კაკუბავა, ლაშა ჩიკვაიძე, ზაზა ჭელიძე, გიორგი კორიფაძე, შოთა კაშია;

**ნახევარმცველები:** პაპუნა ფონიავა, გიორგი განუგრავა, ნიკოლოზ გაბაძე, დენის დობროვოლსკი, ირაკლი ლექვთაძე, ბესიკ დეკანოიძე, გიორგი გაბედავა, თორნიკე გორგიაშვილი;

**თავდამსხმელები:** მიშიკო სარდალიშვილი, თორნიკე მუმლაძე, დიმიტრი ტატანაშვილი, ნიკოლოზ გელაშვილი.

### იაგელონია (პოლონეთი)

ბათუმის დინამოს ევროპა ლიგის წილისყრაში აშკარად არ გაუმართლა – შესაძლო 5 ვარიანტიდან პოლონური იაგელონია ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული გახლდათ.



იაგელონიას ისტორია 1927 წლიდან იწყება, მაგრამ ამ დროის მანძილზე კლუბის საუკეთესო შედეგი გასულ სეზონში დაკავებული მე-2 ადგილია. იაგელონიამ რეგულარული სეზონი პირველ პოზიციაზე დაასრულა, მაგრამ საჩემპიონო პლეიოფში ცუდად ითამაშა და დედაქალაქური გუნდის უკან აღმოჩნდა.

საერთოდაც, იაგელონიას მუზეუმში ორად-ორი თასი ინახება: პოლონეთის თასი და სუპერთასი 2010 წელს მოგებული.

ევროპული ისტორიაც დიდი არ აქვს: 2010 და 2011 წლებში პირველი ეტაპიდან გამოვარდა, 2015 წელს პირველი ეტაპი კი დაძლია, მაგრამ მეტი ვერ მოახერხა.

მოკლედ, იაგელონია ევროპაში წარუმატებლად თამაშობს, თუმცა პოლონეთის ჩემპიონატში მძლავრად გამოიყურებოდა ბოლო სეზონში და საკმაოდ საშიში მეტოქეა.

თუმცა, ბოლო ინფორმაციით, გუნდში ფინანსური კრიზისია და ყველაფერი რიგზე არაა. გუნდს ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს – ირენეუშ მამროტი, რომელსაც გუნდი 2 კვირის ჩაბარებული ჰყავს.

შემადგენლობის მხრივაც დიდი ვერაფერი, მაგრამ ქართულ საზომებზე თუ გადმოვიტანთ, მაინც სოლიდურ სახეს მიიღებს. გამოსარჩევია ბრაზილიელი ლეგიონერი გუტი, ხორვატი ივან რუნიე, უკრაინელები – ტარას რომანჩუკი და დმიტრო კომჩენოვსკი. გუნდს ახლახან შეუერთდა 24 წლის შოტლანდიელი მცველი ზიგი გორდონი. აქვე არიან ადგილობრივები – პრჟემისლავ ფრანკოვსკი, ფიოდორ ჩერნიხი, კილინა შერიდანი. ამ დროისთვის იაგელონიაში 2 ქართველი ირიცხება – მეკარე ლუკა გუგეშაშვილი და მცველი ლუკა ასათიანი.

იაგელონია ბიალისტოკში, „მიეისკის" სტადიონზე თამაშობს, რომელიც 23.000 მაყურებელს იტევს.

ბათუმის დინამოს იაგელონიასთან თამაშის გამოცდილება აქვს – 2016 წლის, 6 თებერვალს, თურქულ შეკრებაზე მყოფმა აჭარულმა გუნდმა პოლონელებს არჩილ ტვილდიანის გოლით მოუგო. თუმცა, მას შემდეგ ბევრი დრო გავიდა და ბევრი რამ შეიცვალა... ვნახოთ, რა იქნება ამჯერად.

**ბათუმის** დინამოს განაცხადი ევროპა ლიგაზე:

**მეკარეები:** რომან ტაკიძე, ანატოლი ტიმოფეევი, ლევან შოვნაძე;

**მცველები:** მირზა ფარტენაძე, ბორის მახარაძე, ანზორ სუხიაშვილი, დავით კვირკველია, არჩილ ტვილდიანი, ნიკა მგელაძე;

**ნახევარმცველები:** ვაჟა ქორიძე, ბექა ვარშანიძე, გელა გოგიტიძე, გიორგი ქავთარაძე, თეიმურაზ შონია, ვალერიან თევდორაძე, ელგუჯა გრიგალაშვილი, თორნიკე თარხნიშვილი, გეგი კეკუა, ჯოვინო ფლამარიონი;

**თავდამსხმელები:** მიხაილ გორელიშვილი, ბექა ჭკუასელი, იაროსლავ კვასოვი, ნიკა კვანტალიანი.

## იუვენტუსი რეალის მცველით დაინტერესდა

იუვენტუსი რეალის ბრაზილიელი მცველით დანილოთი დაინტერესდა, რომლის ტრანსფერშიც ტურინელები მზად არიან, 15 მილიონი ევრო გადაიხადონ.

რეალს ეს თანხა არ აკმაყოფილებს და 20 მილიონს ითხოვს. თვითონ დანილო ამ ტრანსფერის წინააღმდეგი არ არის.

რამდენიმე დღის წინ იუვენტუსი ოფიციალურად დატოვა დანი ალვესმა და იუვენტუსი მის შემცვლელს უკვე აქტიურად ეძებს.

დანილო რეალში 2016 წლის დასაწყისში გადავიდა და მას შემდეგ ძირითად შემადგენლობაში არცთუ ხშირად ხვდებოდა ხოლმე.



## ობამიანგი შესაძლოა ჩინეთში ვიხილოთ



დორტმუნდის ბორუსიას ფორვარდი პიერ ემერიკი ობამიანგი სავარაუდოდ კარიერას ერთ-ერთ ჩინურ კლუბში გააგრძელებს, სადაც მისი თვიური ხელფასი 2 მილიონი ევრო იქნება. ჩინური კლუბი ციანზი ბორუსიას ამ ტრანსფერის სანაცვლოდ 71 მილიონ ევროს გადაუხდის, თუმცა ეს ინფორმაცია თვითონ კლუბს ჯერჯერობით არ დაუდასტურებია, ამიტომ ობამიანგი შეიძლება ბორუსიაში დარჩეს.

გაბონელი ფორვარდის შეძენა ბევრ ევროპულ გუნდსაც სურს, მათ შორის არსენალს და მანჩესტერ იუნაიტედს.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## შედეგები

**27 ივნისი**

**ფეხბურთი**

**ევროპის ჩემპიონატი (21)**

ინგლისი-გერმანია .............. 2:2 (3:4პ)
ესპანეთი-იტალია ......................... 3:1

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

ალაშკერტი-სანტა კოლომა ........... 1:0
ვიკინგური-ტრეპსა ........................ 2:1
ტნს-ევროპა ................................. 1:2
ჰიბერნიანსი-ინფოტენტი .............. 2:0

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

მარიეჰამნი-ინტერი ....................... 5:0
ლახტი-ჰიფკი ................................. 4:1

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*



# რა უნდა იცოდეს ქალმა მენსტრუაციულ ციკლთან დაკავშირებით

ეკა ირემაშვილი

მენსტრუაციული ციკლი რთული ფიზიოლოგიური პროცესია ქალის ორგანიზმში. მას არეგულირებს განსაკუთრებული ნივთიერებები – ჰორმონები, რომლებიც გამომუშავდება ძირითადად თავის ტვინსა (ჰიპოთალამუსი, ჰიპოფიზი) და საკვერცხეებში.

რა უნდა იცოდეს თითოეულმა ქალმა მენსტრუაციულ ციკლთან დაკავშირებით, ამ თემაზე არჩილ ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტის ექიმი მეან-გინეკოლოგი ნინო დავიდოვა საუბრობს.

**ნინო დავიდოვა:**

– მენსტრუაციული ციკლი წარმოადგენს რთულ ფიზიოლოგიურ პროცესს ქალის ორგანიზმში. მას არეგულირებს განსაკუთრებული ნივთიერებები – ჰორმონები, რომლებიც გამომუშავდება ძირითადად თავის ტვინსა (ჰიპოთალამუსი, ჰიპოფიზი) და საკვერცხეებში.

***– რა ახდენს გავლენას მენსტრუაციულ ციკლზე?***

– მენსტრუაციულ ციკლზე გავლენას ახდენს ფარისებრი ჯირკვლის და თირკმელზედა ჯირკვლის ჰორმონებიც.

მენსტრუაციული ციკლის ხანგრძლივობა ითვლება მენსტრუაციული გამონადენის პირველი დღიდან შემდეგი მენსტრუაციის პირველ დღემდე, რაც ნორმალურად უნდა მოიცავდეს 21-35 დღეს.

***– როდის შეიძლება ჩაითვალოს ქალის მენსტრუაციული ციკლი ნორმალურად?***

– მენსტრუაცია რეგულარული ინტერვალებით 21-35 დღეში ერთხელ. მენსტრუაციული გამონადენის ხანგრძლივობა 4-7 დღე. მენსტრუაციული გამონადენის რაოდენობა 60-100 მლ.



ნინო დავიდოვა

***– რა ცვლილებებს უნდა მიაქციოს ქალმა ყურადღება?***

– საყურადღებოა არარეგულარული ანუ იშვიათი მენსტრუაციები – მენსტრუაციის გადაცდენა 1-2 თვე.

მენსტრუაციის არარსებობა 3 და მეტი თვის განმავლობაში. რა თქმა უნდა, არ იგულისხმება მეძუძური დედები და კლიმაქსურ პერიოდში მყოფი ქალები. გახშირებული მენსტრუაცია – თვეში 2-ჯერ. ძლიერ მტკივნეული მენსტრუაცია. ყავისფერი ჩამონაშალის არსებობა მენსტრუაციამდე და მის შემდეგ. ჭარბი, გახანგრძლივებული მენსტრუაცია – 7 დღე და მეტი. მცირე რაოდენობით მენსტრუაცია – მენსტრუაციული გამონადენი < 10 მლ.

***– როგორ ამოვიცნოთ მენსტრუაციული ციკლის დარღვევა?***

– მენსტრუაციული ციკლის დარღვევას ხშირად თან სდევს შემდეგი ნიშნები: ჭარბთმიანობა, აკნეს ტიპის გამონაყარი სახეზე, წონაში მატება, მასის დეფიციტი, სხეულზე სტრიების გაჩენა.

ზემოთ აღნიშნული სიმპტომებიდან ნებისმიერის გაჩენისთანავე აუცილებელია ექიმ სპეციალისტის კონსულტაცია, რადგან თითოეული მათგანი შესაძლებელია დაკავშირებული იყოს მნიშვნელოვან ჰორმონულ დარღვევებთან.

***– პირადი ჰიგიენის რა წესების დაცვაა აუცილებელი მენსტრუაციის პერიოდში?***

– საფენის გამოცვლა მაქსიმუმ 6 საათში ერთხელ, ტამპონის გამოყენებისას – 4 საათში ერთხელ.

დღეში ორჯერ თბილი გამდინარე წყლით დაბანა. თეთრეულის დღეში ორჯერ გამოცვლა. დაუშვებელია ტამპონის და საფენის ერთდროულად გამოყენება. დაუშვებელია ცხელი აბაზანის მიღება, საუნაში სიარული, ზღვაში, მდინარეში ბანაობა. მენსტრუაციის დროს არ არის რეკომენდებული სქესობრივი კონტაქტი. მენსტრუაციის დროს სასურველია ზედმეტი ფიზიკური აქტივობისაგან თავის შეკავება.

## ყალყზე შემდგარი ირმების ჩხუბი ვიდეოზე გადაიღეს

ამერიკის ტენესის შტატის ბუნებრივი რესურსების სააგენტოს თანამშრომლებმა ვიდეოზე გადაიღეს ყალყზე შემდგარი თეთრკუდა ირმების ჩხუბი. ვიდეოჩანაწერი ფეისბუქში სააგენტოს გვერდზე იქნა განთავსებული.



ვიდეოსთვის თანდართულ კომენტარში, მითითებულია, რომ გადაღებისთვის გამოყენებული იყო ავტომატური კამერა, რომელიც ტყეშია დაყენებული. მან დააფიქსირა ორი ირემი, რომლებიც უკანა ფეხებზე შემდგარნი ერთმანეთს წინა ფეხებს ურტყამდნენ. როდესაც ბოლოსდაბოლოს ერთ-ერთმა უკან დაიხია, ოთხ ფეხზე დაეშვა და გაიქცა, მეორე ისევ ორ ფეხზე შემდგარი გაეკიდა.

თეთრკუდა ირმები ფართოდაა გავრცელებული ჩრდილოეთ ამერიკაში. ზამთარში მამრები რქებს იცვლიან, ხოლო ახლები მათ მხოლოდ გვიან გაზაფხულზე ამოსდით. ამიტომ ისინი ხშირად ურთიერთობას ჩლიქების დახმარებით არკვევენ.

კალეიდოსკოპი

## ცსს-ს აგენტები სამსახურიდან ავტომატებიდან საკვების ქურდობისთვის გაათავისუფლეს




აშშ-ის ცენტრალურმა სადაზვერვო სამსახურმა თავის რამდენიმე აგენტი სამსახურიდან ვენდინგური ავტომატებიდან საკვების მოპარვისთვის გაათავისუფლა, აღნიშნული დანაშაულებები 2012 წლის შემოდგომიდან 2013 წლის მაისის ჩათვლით იქნა ჩადენილი. ბოროტმოქმედებმა საერთო ჯამში 3 ათასი დოლარის საქონელი მოიპარეს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემის ვებ-გვერდი აშშ-ის იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექტორის მოხსენებაზე დაყრდნობით ავრცელებს, რომელსაც გრიფი „საიდუმლო“ მოეხსნა.

საქმე გამოსაძიებლად ვირჯინიის შტატის აღმოსავლეთ ოლქის პროკურატურას გადაეცა, მაგრამ იუსტიციის სამინისტრომ აგენტებს ბრალი არ წაუყენა.

დამნაშავეებმა ჩახსნეს მავთული, რომლითაც ავტომატი გადახდის სისტემასთან იყო მიერთებული, შემდეგ კი შენაძენის საფასურს საკრედიტო ბარათებით „იხდიდნენ“, რომელზეც თანხა არ იდო, ამის შემდეგ კი საქონელი უფასოდ მიჰქონდათ.

დანაშაულის გამოსავლენად, გენერალური ინსპექციის სამმართველომ სათვალთვალო კამერები დააყენა იმ ადგილებში, სადაც დანაშაული ხდებოდა. ამის შედეგად ვიდეო ჩანაწერებში ცსს-ს აგენტები ამოიცნეს. საბოლოოდ მათ დანაშაული აღიარეს და მოწმობები და საბუთები ჩააბარეს, რის შემდეგაც სამსახურიდან გაათავისუფლეს.

## ნანტელმა ავტობუსის მძღოლებმა მოკლე შარვლების აკრძალვის გამო კაბები ჩაიცვეს



საფრანგეთის ქალაქ ნანტის ავტობუსების ექვსმა მძღოლმა სამუშაო დროს მოკლე შარვლების ტარების აკრძალვის საპროტესტოდ კაბები ჩაიცვეს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, აღნიშნული აქცია მოწოდებული იყო, მიეპყრო ყურადღება იმ პრობლემის მიმართ, რომელსაც ავტობუსების მამაკაცი მძღოლები აწყდებიან ზაფხულში მუშაობის დროს. აქციის მონაწილეები, რომლებიც ნანტის საზოგადოებრივი ტრანსპორტის მუშაობას უზრუნველყოფენ, მოითხოვენ, მათ მოკლე შარვლებით მუშაობის უფლება მისცენ, როდესაც ჰაერის ტემპერატურა 30 გრადუსს გადააჭარბებს.

– ჩვენს ავტობუსებში არ არის კონდიციონერები, ეს აუტანელია. ეს გარკვეულწილად დისკრიმინაციაა. ქალი მძღოლებისთვის კაბებით მუშაობა შეიძლება, ჩვენთვის კი მოკლე შარვლებით მუშაობა – არა, – განმარტა მძღოლმა გაბრიელ მანიერმა და იქვე დაამატა, რომ ასეთი მაღალი ტემპერატურის დროს მთელი დღის მანძილზე კაბის ტარება მას სრულიად აწყობს.

## სიკვდილმისჯილი იაპონელი განაჩენის აღსრულების მოლოდინში გარდაიცვალა

იაპონიის ფუკუოკას პრეფექტურის ციხეში გარდაიცვალა ტაკეშიგე ჰამადა, რომელიც ქვეყანაში ყველაზე ხანდაზმულ პატიმრად ითვლებოდა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.



ციხის მცველებმა საკნის იატაკზე დაგდებული ჰამადა დაახლოებით დღის პირველ საათზე აღმოაჩინეს. წინასწარი მონაცემებით, ის პირღებინების დროს გაიგუდა. ჰამადა საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ ექიმებმა მხოლოდ მისი გარდაცვალება დაადასტურეს.

ტაკეშიგე ჰამადა 90 წლის იყო. მას სიკვდილით დასჯა ჰქონდა მისჯილი სამი ადამიანის მკვლელობისთვის, რომელიც მან ორი წლის განმავლობაში ჩაიდინა 1978 წლიდან მოყოლებული.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## ასტროპროგნოზი
### 29 ივნისისთვის



**ვერძი** – ჰარმონიული დღეა. შემოქმედებით საქმიანობაში წარმატებებს მიაღწევთ. **კურო** – ჯანმრთელობას მიხედეთ. ფიზიკური დატვირთვა მაქსიმალურად გამორიცხეთ. **ტყუპები** – მოაწესრიგეთ პირადი ცხოვრება, გაკაჟდით ფიზიკურად და სულიერად. მეზობლებთან კონტაქტს ერიდეთ. **კირჩხიბი** – დაძაბული დღეა. მიზნის მიღწევა იოლი არ იქნება, თუმცა თქვენსას ბოლოს მაინც გაიტანთ. **ლომი** – პარტნიორს მიენდეთ. გელით ფინანსური კეთილდღეობა. გარეშე პირებს გულს ნუ გადაუშლით. **ქალწული** – კეთილისმყოფელი დღეა. მშვიდად ხართ. მატერიალური მდგომარეობაც გიუმჯობესდებათ. **სასწორი** – პრობლემის მოსაგვარებლად კომპრომისზე წასვლა მოგიწევთ, მაგრამ არ ინანებთ. **ღრიანკალი** – პირად ცხოვრებაში დიდი სასიკეთო ცვლილებები გელით. ძველ მეგობრებს ნუ დაივიწყებთ. **მშვილდოსანი** – მოსალოდნელია საინტერესო შეხვედრები, ფლირტი. ნებისმიერ წინააღმდეგობას იოლად გადალახავთ. **თხის რქა** – ინტუიცია გიმახვილდებათ. გრძნობების გამოვლენას პლანეტები დღეს არ გირჩევენ. **მერწყული** – აქტიური დღეა. შემოქმედებით სფეროში გაგიმართლებთ. დაეხმარეთ ახლობლებს. **თევზები** – ემოციებს ნუ აჰყვებით. რაციონალურად იაზროვნეთ. ბავშვებს მეტისმეტად ნუ გაათამამებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ორაზროვანი, გადაკრული სიტყვა; 2. ბაღჩეული კულტურა, გრძელყელიანი გოგრა; 3. ფილატელისტის ალბომი; 4. თერმოდინამიკის ფუძემდებელი ინგლისელი ფიზიკოსი; 5. ქართველი კინომსახიობი მამაკაცი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი; 9. აზიის სახელმწიფო ბირმას დღევანდელი სახელწოდება; 12. ჩაის მწარმოებელი ქართული ფირმა; 14. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური კორეაში; 15. შაქრის ლერწმისგან დამზადებული არაყი; 17. საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ მებრძოლი უკრაინელი ატამანი; 18. მატყლისგან ძაფის დასართავი უმარტივესი მოწყობილობა.

**თარაზულად:** 6. ნაკეთობის შესამკობად გადაკრული ოქროს თხელი ფენა; 7. აზრის არაპირდაპირი ხერხებით, იგავურად გამოხატვა ლიტერატურასა და სახვით ხელოვნებაში; 8. პისტოლეტის ჩასადები ტყავის ბუდე; 10. სევანის ტბის ძველი სახელწოდება; 11. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 13. საცხენოსნო სარბიელი; 16. ლიტერატურული თამაში, იუმორისტული ლექსების შეთხზვა წინასწარ მოცემული რითმებით; 19. ნახევარკუნძული კასპიის ზღვაში; 20. ჟანგბადის ნაკლებობა სისხლში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. ეშხი; 2. „იზა“; 3. გერიატრია; 4. დონგი; 5. „ლიპტონი“; 8. ნიკე; 9. ვაგნერი; 10. შოკოლადი; 12. ბასტრი; 13. გროტი; 15. ქაცვი.

**თარაზულად**: 1. ეპილოგი; 6. ბეისბოლი; 7. ხუნტა; 10. შტილი; 11. აკაბა; 13. გონიო; 14. იფქლი; 16. ტახო; 17. აერაცია; 18. შარიფი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. პაპაინი; 2. ფხოვი; 3. რეზექცია; 4. ყვირილა; 5. ტექტონიკა; 9. ფროიდი; 12. გურზუფი; 14. ლოგიკა; 15. ელია; 17. „რეალი“; 18. აბიო.

**თარაზულად**: 6. ჩანახი; 7. ცერცვაძე; 8. ცაცხვი; 10. კინტო; 11. ჰიდროფობია; 13. ალავერდი; 16. ტუნდრა; 19. ბრიუსელი; 20. „ფანდანგო“.

# გიორგი ოვაშვილის „ხიბულას“ პრემიერა კარლოვი ვარის კინოფესტივალზე გაიმართება

რეჟისორ გიორგი ოვაშვილის ახალი ფილმის „ხიბულა“ მსოფლიო პრემიერა კარლოვი ვარის საერთაშორისო კინოფესტივალზე გაიმართება.

ჩეხეთში კინოფესტივალი 30 ივნისს გაიხსნება. კარლოვი ვარის კინოფესტივალი გიორგი ოვაშვილისთვის უცხო არ არის. მისმა ფილმმა „სიმინდის კუნძული“ კინოფესტივალის მთავარი პრიზი ბროლის ბურთი მოიგო.

ამჯერად რეჟისორი კინოფესტივალს ახალი ფილმით უბრუნდება. „ხიბულა“ „გაღმა ნაპირისა“ და „სიმინდის კუნძულის“ შემდეგ, ტრილოგიის მესამე ნაწილია.

როგორც ფილმის რეჟისორი აცხადებს, ფილმზე მუშაობა რამდენიმე წლის წინ დაიწყო და საქართველოს ეროვნული კინოცენტრის მიერ სცენარის დაწუნების მიუხედავად, მისი სისრულეში მოყვანა მაინც შეძლო.

ფილმში მთავარ როლს ირანელი მსახიობი ასრულებს, რომელიც ყველასგან მიტოვებულ ლიდერს განასახიერებს.

**გიორგი ოვაშვილი:**

– აღნიშნულ პროექტზე რამდენიმე წლის განმავლობაში ჩემს უცხოელ პარტნიორებთან ერთად ვმუშაობდი. „ხიბულა“, ჩემი წინა სარეჟისორო ნამუშევრების „გაღმა ნაპირის“ და „სიმინდის კუნძულის“ შემდეგ, ტრილოგიის მესამე ფილმია და წინა ნამუშევრების მსგავსად, საქართველოს უახლესი ისტორიის ყველაზე მტკივნეულ პერიოდს ეძღვნება. ფილმი ლიდერის აღზევებისა და დაცემის ზოგად ისტორიას მოგვითხრობს. სიუჟეტში დავინახავთ პარალელებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მმართველის ცხოვრებიდან, რომელთაც ძალაუფლების მოპოვებისა და დაკარგვის განზოგადებული ისტორია აერთიანებთ. ეს არის ისტორია, რომელიც მეორდება თაობებსა და ეპოქებში.




ფილმი ფსიქოლოგიური დრამაა, რომელიც აღწერს, თუ რა ხდება ადამიანის, ლიდერის შინაგან სამყაროში, მის ფსიქიკაში, როცა ის აცნობიერებს, რომ ყველა და ყველაფერი დაკარგა. ასე, პირდაპირ ვერ ვიტყვი, რომ ფილმი ზვიად გამსახურდიას შესახებ იქნება. ჩემი მიზნის განსახორციელებლად მჭირდებოდა ერთი კონკრეტული პერსონაჟი, რომლის მაგალითზეც ავაგებდი მთავარ ამბავს. შესაბამისად, ფილმში მაყურებელი ამოიცნობს ეპიზოდებს საქართველოს პირველი პრეზიდენტის ცხოვრებიდან, თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნე, ქვეტექსტში მრავლად იქნება წარმოდგენილი ლიდერთა არქეტიპები.

სცენარზე მუშაობა წლების წინ დავიწყე. საფუძვლიანად შევისწავლე პირველი პრეზიდენტის ცხოვრების უკანასკნელი პერიოდის ისტორია, გამოვიკვლიე ფაქტები, მოძიებული მასალები, რის საფუძველზეც დავწერე სცენარი. თუმცა ეს არც დოკუმენტური ფილმია და არც ბიოგრაფიული, ჩემი მიზანი არ არის რეალური ფაქტების გაცოცხლება, შესაბამისად, სცენარი მთლიანად არის მორგებული იმ იდეას, რომლის შესახებაც ზემოთ ვისაუბრე.

# გიორგი კეკელიძის „თომას ზღაპრები“ თურქულად ითარგმნა



მწერალ გიორგი კეკელიძის „თომას ზღაპრები“ თურქულ ენაზე ითარგმნა და წიგნად გამოიცა. თარგმანზე მუშაობდნენ თეა მეშველიშვილი, ნინო ოქროსცვარიძე და გულ მუქერრემ ოზთურქი.

„თომას ზღაპრები“ გიორგი კეკელიძემ სპეციალურად პატარა მკითხველისთვის დაწერა და მასში თომას საინტერესო, მხიარული და უჩვეულო თავგადასავლებია მოთხრობილი.

წიგნი პატარა მკითხველში დიდი პოპულარობით სარგებლობს. „თომას ზღაპრების“ ავტორს არაერთხელ მოუწყვეს შეხვედრა საბავშვო ბაღებში, ბიბლიოთეკებსა და სკოლებში. „თომას ზღაპრების“ მიხედვით პატარა მკითხველებმა ნახატებიც შექმნეს და გამოფენა მოაწყვეს.

ძალიან მალე გიორგი კეკელიძის „თომას ზღაპრები“ შვედურად, გერმანულად და ჩინურადაც გამოვა.

# „ერთადერთი იყო რობერტ სტურუა სტუმართაგან, ვისაც სიტყვა სთხოვეს და სცენა დაუთმეს“



თეატრმცოდნე ლაშა ჩხარტიშვილი ასტანაში გამართული ცნობილი ყაზახი მსახიობის ასანალი აშიმოვის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოდან სოციალურ ქსელში სპეციალურ ვიდეოს ავრცელებს.

საიუბილეო საღამოზე საპატიო სტუმრებთან ერთად, მიწვეული იყო რუსთაველის თეატრი და მისი სამხატვრო ხელმძღვანელი რობერტ სტურუა, რომელიც აღმოჩნდა ერთადერთი სტუმარი, ვისაც სიტყვა სთხოვეს და სცენა დაუთმეს.

**ლაშა ჩხარტიშვილი:**

– რობერტ სტურუა იყო ერთადერთი სტუმარი მრავალ სტუმართაგან მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან, რომელსაც მიეცა საშუალება სიტყვით გამოსვლის ყაზახეთის კულტურის მინისტრისა და თურქულენოვანი სამყაროს თეატრების მსოფლიო გაერთიანების პრეზიდენტთან ერთად.

1. ერთადერთი იყო რობერტ სტურუა სტუმართაგან, ვისაც სიტყვა სთხოვეს და სცენა დაუთმეს.
2. ვერ მოვასწარი გადაღება, როგორ წარადგინეს ის, მაგრამ მე ხომ მახსოვს: „მსოფლიო რეჟისორი“.
3. იამაყე საქართველოვ, რომ „ამფერი გყავარ განა.“

# მარიამ ხაჭვანი: „დღე-დღეზე ჩამოინგრევა ფრიდონ ნიჟარაძის კოშკიც“



მას შემდეგ, რაც უშგულში XII საუკუნის კოშკი დაინგრა, სვანეთის მკვიდრი, ახალგაზრდა რეჟისორი მარიამ ხაჭვანი საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილს ღია წერილით მიმართავს, დროულად მიხედონ სვანეთის უძველეს კოშკებს და დაიცვან ისინი დანგრევისა და განადგურებისგან.

**მარიამ ხაჭვანი:**

– ბატონო პრემიერო, გთხოვთ, დაუყონებლივ შეისწავლოთ უშგულის საკითხი და ერთდროულად მოხდეს დანგრევის პირას მყოფი კოშკებისა და მაჩუბების რეაბილიტაცია.

გთხოვთ, დაიცვათ ადგილობრივი მოსახლეობის და ათასობით ტურისტის უსაფრთხოება.

გთხოვთ, გადაარჩინეთ დანგრევას საუკუნეებგამოვლილი საქართველოს საგანძური.

როგორც უკვე ნახეთ, უშგულის სამი უბნის: ჟიბიანი, ჩვიბიანი და მურყმერის კოშკები და მაჩუბები ამ ზამთრამდე ვერც ერთი ვერ გასტანს.

დღე-დღეზე ჩამოინგრევა ფრიდონ ნიჟარაძის კოშკიც და უკვე უშგულის უბნებში გადაადგილებაც კი საფრთხეს უქმნის ადამიანებს.

# ელტონ ჯონი საქართველოში კიდევ ერთ კონცერტს გამართავს

მომღერალი ელტონ ჯონი ერთის ნაცვლად საქართველოში ორ კონცერტს გამართავს.

ეს გადაწყვეტილება კონცერტის ორგანიზატორებმა მაყურებლის დიდი მოთხოვნის გამო მიიღეს.

სოლოსა და კომპანია ისთერნ პრომოუშენის გადაწყვეტილებით, ბლექ სი არენაზე ელტონ ჯონი თავის ბენდთან ერთად მსმენელის წინაშე 16 და 17 სექტემბერს წარდგება.

17 სექტემბერს დაგეგმილი კონცერტის ბილეთების გაყიდვა 30 ივნისს, დილის 09:00 საათზე დაიწყება და ხელმისაწვდომი იქნება ექსკლუზიურად, მხოლოდ სოლოსთვის. პირველი ივლისის დილის 09:00 საათიდან კი, ბილეთების შეძენის შესაძლებლობა ყველა მსურველს მიეცემა. სოლოს თითოეულ მომხმარებელს, ერთჯერადად 6 ბილეთის შეძენის შესაძლებლობა აქვს, ბილეთის ფასი 90 ლარიდან იწყება, ხოლო ის, ვინც არ არის სოლოს მომხმარებელი, ბილეთს 150 ლარიდან შეიძენს.

16 სექტემბერს, ლეგენდარული მუსიკოსის ელტონ ჯონის კონცერტზე დასასწრები ბილეთების ნაწილი 25 ივნისს, ონლაინ, დაახლოებით ერთ საათში გაიყიდა. დაპირებისამებრ, 29 ივნისს დილის 09:00 საათიდან ბილეთების შეძენის შესაძლებლობა ყველა მსურველს ექნება.

# სამგლოვიარო განცხადებები



თეიმურაზ ფანჯიკიძე ოჯახით დიდი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა შესანიშნავი ისტორიკოსი, თვალსაჩინო მოღვაწე და მამულიშვილი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ფილოსოფიური აკადემიის აკადემიკოსი, დამსახურებული მეცნიერი

**ფარნა ლომაშვილი**



მეუღლე ქეთევანი, შვილები ირინა, ნიკო, სიძე ოთარ ყარალაშვილი, რძალი ნათია ზამბახიძე, ძმა ანზორი, ძმისშვილები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, დამსახურებული მეცნიერი

**ფარნა ლომაშვილი**

პანაშვიდი: 29, 30 ივნისს, 17 საათიდან.

დაკრძალვა: 1 ივლისს, 14 საათზე.

მისამართი: ყაზბეგის გამზირი №29ა, IV სადარბაზო, V სართული.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# თბილისის აზერბაიჯანულმა თეატრმა ბაქოდან დახმარება მიიღო



ჰეიდარ ალიევის სახელობის თბილისის აზერბაიჯანულმა თეატრმა ბაქოდან 14 წლის მანძილზე პირველი დახმარება მიიღო.

მას შემდეგ, რაც თეატრის ბიუჯეტი 10%-ით შემცირდა და შესაბამისად თანამშრომლებს ისედაც მწირი ხელფასები 10%-ით მოაკლდათ, აზერბაიჯანის კულტურისა და ტურიზმის სამინისტრომ, სარეზერვო ფონდიდან თანხა გამოყო, რაც მსახიობებისა და ადმინისტრაციის თანამშრომლების ხელფასებს დაემატა, იმისთვის, რომ სამსახურში სიარული შეძლონ...

– თბილისის აზერბაიჯანული სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრის შრომისუნარიანი, მოაზროვნე თანამშრომლების საშუალო ხელფასი 170-230 ლარს არ აღემატება! უმრავლესობა ქალაქის იმ უბნებში ცხოვრობს, საიდანაც სამსახურში მოსვლისთვის ორი-სამი ტრანსპორტის გამოცვლა სჭირდებათ. აზერბაიჯანის რესპუბლიკის კულტურისა და ტურიზმის სამინისტროდან თეატრმა, ამდენი წლის მანძილზე, პირველი დახმარება მიიღო. ეს მინიმალურია, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი! თეატრის თანამშრომლები – ადმინისტრაცია და მსახიობთა დასი, მადლიერია ამ დახმარების და იმედს არ კარგავენ, რომ აზერბაიჯანის კულტურის სამინისტროდან მათი თეატრისთვის თანხის სუფსიდირება კვლავაც გაგრძელდება, – აცხადებენ თეატრის პრესსამსახურში.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კალეიდოსკოპი

# ძაღლმა შავი დედა დათვი გააგდო



ამერიკის ვაშინგტონის შტატის ქალაქ ვუდინვილში ძაღლმა შავი დათვი გააგდო. ადგილობრივმა მცხოვრებმა ემა ეტემადიმ აღნიშნული შემთხვევა ვიდეოზე გადაიღო და ფეისბუქში გამოაქვეყნა.

დედა დათვი (ვიდეორგოლისთვის თანდართულ კომენტარში აღნიშნულია, რომ მას ორი ბელიც თან ახლდა, მაგრამ ისინი კადრში ვერ მოხვდნენ) ქუჩის გადაკვეთას ცდილობდა, როდესაც მას თეთრი ლაბრადორი მიეჭრა. მიუხედავად ზომებში დიდი უპირატესობისა, დათვმა უკან დაიხია და მიიმალა. მოწინააღმდეგის მის მოქმედებაზე რეაქციით კმაყოფილი ძაღლი კი თავის პატრონებთან დაბრუნდა.

შავი დათვი ჩრდილოეთ ამერიკაში დათვის ყველაზე გავრცელებული სახეობაა. მოზრდილი ცხოველის სიმაღლე 1,6 მეტრამდე აღწევს და 230 კილოგრამამდე იწონის.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## პროგრამა

**ხუთშაბათი 29 ივნისი**

**07.00** დოკ/ფ "ორი გაუმაძღარი იტალიელი" **08.00** "მადაგასკარის პინგვინები" **09.00** "მოამბე დილას" **10.00, 04.00** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **12.30** "ტელემანი" **12.45** "კაცების დრო" **13.50** "ჰოპლა ჩვენ ვცოცხლობთ" **14.20** "სიტყვების თამაში" **15.00, 02.00** C - სტუდია **16.30** "დღე მუზეუმში" **17.00, 03.00** "რეალური სივრცე" **18.30** "ზღვარზე" ტელებლოგში **20.40** "სპორტის დაფა" **21.00** ტ/სერ. "**ველვეტი**" **21.50** **ფეხბურთში** კონფედერაციის თასის გათამაშება .1/2 ფინალი **00.00** მხ/ფ "**წითელი დრაკონი**" (ე.ჰოპკინსი)

**08.00** დოკ/ფ "ალესანდრე დიდი მაკედონელი" **09.00** დოკ/ფ "სიგარეტის გადაგდება" **10.00** "გეოფაქტორი" **10.15** დოკ/ფ "კოფი ანანი" **11.05** დოკ/ფ "გიიკების რევანში" **12.00, 22.00** ტ/სერ. "**კედრის ყურე**" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.00** დოკ/ფ "ცხოველთა სილამაზე" **15.00** დოკ/ფ "მცენარეთა საიდუმლოებები" **17.00** დოკ/ფ "ფანტასტიკური სიმფონია" **18.00** დოკ/ფ "ინსტრუქცია ამერიკის ქალბატონი პრეზიდენტისათვის" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **23.00** "მოამბე" (3 ენაზე) **00.00** "ნამდვილი დრო" **00.30** ტ/სერ. "**კატერინა და მისი ქალიშვილები**"

**05.50, 14.40** სერ. "**ელიფი**" **07.30** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 04.05** ქრონიკა **08.20, 09.20** იმედის დილა (გაგრძელება) **10.05** სერ. "**პატარძალი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** იმედის დღე **17.35** სერ. "**სტამბოლის ორი სახე**" **18.50, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **23.30** სპორტი იმედზე **00.30** მხ/ფ "**პოლიციელი ბევერლი ჰილზიდან 3**" **02.10** მხ/ფ "**ქლოი**" **04.20** მხ/ფ "**დარტყმულები**"

**06.00, 18.45** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **06.45, 20.03** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ფერიჰას საიდუმლო**" **15.30** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**დაკარგული წლები**" **18.00** კურიერი **22.00** პროფილი

**08.00** ან/სერ. "ვარსკვლავური ომები - მეამბოხეები **09.00** სერ. ""**ერთხელ ზღაპარში**" **13.00** სერ. "**მოტივი**" **15.00** სერ. "**ანტიმაფია**" **17.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება**" **19.00** სერ. "**შავი სია**" **21.00** სერ. "**მაფიოზა**" **22.30** მხ/ფ "**ადრენალინი**" **0.10** მხ/ფ "**ადრენალინი 2**" **2.05** მხ/ფ "**პიკასოსთან ცხოვრება**" **4.25** მხ/ფ "**სახიფათო კავშირები**" **6.45** მხ/ფ "**ბიზნესი სიყვარულის გამო** "

**08.00** ანანდა **08.15** მულტფილმი **08.30** სერ. "**ღმერთების ხელდასხმული**" **09.20** მულტ/სერ. "დინოფროზი" **09.50** სერ. "**სიყვარულსა და შიშს შორის**" **10.40, 13.40, 14.40, 17.40, 21.20, 22.25** ტელემარკეტი **11.00, 14.00, 17.00, 17.55, 19.00, 23.30, 2.40** ახალი ამბები **11.25** დოკ/ფ "ბრძოლა არსებობისთვის" XIV ნაწ. **12.00** მოდი გავიყაროთ **13.00, 04.00** ბიზნესკოდი **15.00** 3-დან 5-მდე **16.20** დოკ/ფ "გმირები" შანგრი ლა I ნაწ. **18.00** ფაბრიკა **20.00, 03.00** პრიორიტეტი **21.10** კიჭილიქსი **21.30** რემისია **22.35** სერ. "**სიყვარულსა და შიშს შორის**" **0.00** ფაბრიკა **1.00** მხ/ფ "**მოთვალთვალე**"

**06.15** ქრისტიანული სწავლება **06.25** მუს. პაუზა **06.40** პატერიკი-უეცრად აღძრული სინანულის შესახებ **06.45** აქტუალური თემა "პატრიოტიზმი" **07.25** ქართული ალბომი **07.50** სამყაროს შექმნა **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** სიბრძნისმეტყველება **08.30** "განთიადი" **10.10** პორტრეტები ერთსულოვნების გალერეადან "ოლღა გურამიშვილი" **10.40** საღვთისმეტყველო საუბრები **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ "**მსურველებს შეუძლიათ ჩაეწერონ**" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.40** გამოყენებითი ხელოვნება "ქართული საჭურველი" **15.05** ქართული ან/ფ **15.25** ტრაპეზი "ლობიო პამინდვრით" **15.35** დ/ფ "გზა წმინდა პაისიდან წმინდა სპირიდონამდე" **16.00** კონცერტი **16.55** ქრისტიანული ხელოვნება-"წინაქრისტიანული ხელოვნება" **17.30** ჩვენი ფონდი **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.20** მხ/ფ "**ლუკას სახარება**" **20.40** ძილი ნებისა **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.10** ერთსულოვნების ვერნისაჟი **21.15** დ/ფ "მარტვილური ესტაფეტა" **21.40** წმინდანები **22.20** ჩვენი საგანძური **22.40** კვირიაკეს სიუჟეტი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.40** ივერიის ეკლესია "წმინდა პატრიარქი კირიონ II" **00.30** დ/ფ "ისტორია ეპილოგის გარეშე-ნიკო ნიკოლაძე" **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

29 ივნისისთვის

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.4075

ევრო — 2.7092

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.0676

100 რუსული რუბლი — 4.0840

## ამინდის პროგნოზი 29 ივნისისთვის





## 27 ივნისიდან

შიო გვეტაძე

# მონანიება

ქართული დეტექტივი მე-14 ტომი

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი







## 21 ივნისიდან

ილია ილფი
ევგენი პეტროვი

# თორმეტი სკამი

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი

# ფლორენტინო პერესი: „კრიშტიანო რეალზე გაბრაზებულია“

მადრიდის რეალის პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა კრიშტიანო რონალდუზე ისაუბრა და თქვა, რომ პორტუგალიელი ფეხბურთელი რეალზე გაბრაზებულია, მაგრამ გუნდიდან მაინც არ წავა.



– რონალდუ რეალზე ნამდვილად გაბრაზებულია, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, ის რეალს არ დატოვებს. კონფედერაციის თასის შემდეგ რონალდუს პირადად დაველაპარაკები და ბევრი რამ ნათელი გახდება, – განაცხადა ფლორენტინო პერესმა.

კრიშტიანო რონალდუ რეალზე იმის გამო განაწყენდა, რომ სამეფო კლუბმა მას მხარი არ დაუჭირა გადასახადების დამალვასთან დაკავშირებულ სკანდალში. ესპანეთის პროკურატურამ რონალდუს 14 მილიონი ევროს გადახდა დააკისრა. რონალდუ ამ თანხის გადახდაზე დათანხმდა, მაგრამ რეალის დატოვებაზე ის მაინც ფიქრობს.

# კილიან მბაპეს ყიდვა ლივერპულსაც მოუნდა



მონაკოს ახალგაზრდა ფორვარდზე კილიან მბაპეზე ევროპაში ნამდვილი ომია გაჩაღებული. მბაპე ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ ახალგაზრდა ფეხბურთელად ითვლება, ამიტომ მისი ყიდვა ძალიან ბევრ გუნდს სურს. ამ კლუბების რიცხვს ლივერპულიც შეემატა, რომელიც მბაპეს ტრანსფერში 100 მილიონ ევროს იხდის.

მონაკომ ლივერპულს, ისევე, როგორც სხვა კლუბებს, უარი უთხრა. მონაკოს ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ მბაპე არ იყიდება.

თვითონ ახალგაზრდა ფორვარდმა ასევე მონაკოში დარჩენის სურვილი გამოთქვა, რადგან სურს, გამოცდილება შეიძინოს და მხოლოდ ამის შემდეგ გადავიდეს ევროპული ფეხბურთის რომელიმე გრანდში.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**



# იუმორი

•••

ფსიქიატრთან მიღებაზე:

– ექიმო, ხელები მიკანკალებს.

– სვამთ?

– ვსვამდი.

– ეწევით?

– ვეწეოდი.

– რა, თავი დაანებე?

– არა, ჯერ მხოლოდ გადავწყვიტე.

– აი ხედავთ, ორგანიზმს კი უკვე ეშინია.

•••

თვითმფრინავის ბორტგამცილებელი მგზავრს ეკითხება:

– მიირთმევთ რამეს?

– რა არჩევანი მაქვს?

– ჰო ან არა!

•••

საძინებლიდან ცოლის ხმა ისმის:

– სად ხარ, ჩემო პრინცო?

ტუალეტიდან ქმარი პასუხობს:

– აქ ვარ, ჩემო პრინცესავ! თეთრ ცხენზე ვზივარ!

•••

თერაპევტთან მიღებაზე:

– ექიმო, მუცელი მტკივა ძალიან და საერთოდ, თავს ძალიან ცუდად ვგრძნობ...

– რა მოხდა?

– ტყეში ვიყავი და ნაყოფი შევჭამე.

– რა ნაყოფი?

– არ ვიცი, ვერ გავარჩიე...

– მაშინ, მე კი არა, თვალის ექიმს მიმართეთ.

•••

კაცი ქალს ეუბნება:

– ცოლად ვერ მოგიყვან.

– რატომ?

– ამბობენ, რომ ბევრი მამაკაცი გყავდა.

– ჩემი გაკეთებული კერძები არ მოგწონს?

– როგორ არა! ძალიან გემრიელ საჭმელებს აკეთებ!

– მაშინ, იქნებ ჩემი დალაგებული სახლი არ მოგწონს?

– არა, რას ამბობ? ასეთი სისუფთავე არსად მინახავს.

– იქნებ არ მოგწონს, როგორ ვხვდები სტუმრებს?

– არა, ყველანი აღფრთოვანებულნი არიან.

– იქნებ საწოლში არ მოგწონვარ?

– ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ ასეთი სიამოვნების მიღება შეიძლებოდა!

– ჰოდა, შენი აზრით, ამ ყველაფრის სწავლა დაუსწრებელ კურსებზეა შესაძლებელი?

•••

ნამდვილი თბილისელი ინტელიგენტი არასოდეს იტყვის: „შენი დედა!“ ის იტყვის: „მამად შეგეფერები!“

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.






## 29 ივნისიდან

ონორე დე ბალზაკი

# ოცდაათი წლის ქალი

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი

## მსოფლიოში ყველაზე მახინჯ ძაღლად მასტიფი აღიარეს



ამერიკის კალიფორნიის შტატის ქალაქ პეტალუმაში გამართულ ბაზრობა სონომა-მარინზე მსოფლიოს ყველაზე მახინჯი ძაღლი აირჩიეს.

ყოველწლიური კონკურსის გამარჯვებული გახდა წითელთვალება ნეაპოლიტანური მასტიფი სახელად მარტა, რომელიც თავიდან ფეხებამდე კანის ნაოჭებითაა დაფარული.

– შეხედეთ მას, 100 ფუნტიან ძაღლზე დაახლოებით 300 ფუნტი ტყავი მოდის, – განაცხადა კონკურსის მსაჯმა. მარტა 57 კილოგრამს იწონის და დროის უმეტეს ნაწილს ძილში ატარებს, ამასთან ხმამაღლა ხვრინავს.

მარტას გარდა, კონკურსში კიდევ 12 ძაღლი იღებდა მონაწილეობას. ერთ-ერთი პრეტენდენტი ელამი იყო, მეორეს ბეწვი ჰქონდა გაცვენილი, მესამეს დაგრეხილი ფეხები ჰქონდა. ვეტერინარებმა კონკურსის ყველა მონაწილე საგულდაგულოდ დაათვალიერეს და დარწმუნდნენ, მათი ნაკლოვანებები პატრონების მხრიდან მათ მიმართ სასტიკი მოპყრობით არ იყო გამოწვეული.

## ვენეციელი პირველი ქალი გონდოლიერი მამაკაცი გახდა



გერმანელმა ალექსანდრა ჰაიმ, რომელიც ვენეციაში პირველ ქალ-გონდოლიერად აღიარეს, სქესის შეცვლის თაობაზე განცხადება გაავრცელა.

– მე ქალების თანაბარ უფლებიანობას მხარს ვუჭერ და მიმაჩნია, რომ იმ ადამიანის სახით, რომელმაც გონდოლას მართვა აითვისა, დავამტკიცე, რომ დიახ, ამის გაკეთება ქალებსაც კი შეუძლიათ, – დაწერა სოციალურ ქსელ ფეისბუქში, – თუმცა, მე ქალი არ ვარ და ფემინიზმის ბრძოლა ჩემ პირად ბრძოლას არ წარმოადგენს. მე უბრალოდ მსურს ვაკეთო საქმე, რომელიც მომწონს და გამოვიყურებოდე ისე, რომ ხალხმა ისეთივე ადამიანად დამინახოს, როგორადაც თავად ვთვლი საკუთარ თავს.

ასევე ჰაიმ განაცხადა, რომ ამიერიდან საკუთარ თავს ალექსად მოიხსენიებს და საკუთარ თავზე საუბრობს, როგორც მამაკაცზე.

ჰაი სქესის ქირურგიული კორექციის გაკეთებას სან-ფრანცისკოში გეგმავს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. მარადმწვანე წიწვოვანი ხე; 2. საკვებ პროდუქტებზე გაჩენილი სოკოს ქსელი; 3. საგნის ზუსტი განსაზღვრა, მისი ყველაზე არსებითი ნიშნების საშუალებით; 4. უბანი თბილისში; 5. ზღვისპირა კურორტი ლიტვაში; 8. საქართველოში გავრცელებული ფრანგული ვაზის ჯიში; 9. მცირეოდენი, წვრილმანი განსხვავება რამეში; 10. „ბითლზი“-ს ერთ-ერთი წევრი; 12. ისტორიული ციხე-ქალაქი ასპინძის რაიონში; 13. გამკილავი შინაარსის სახელდახელოდ თქმული ლექსი; 15. სამრეწველო ცენტრების, დიდი ქალაქების ცაზე დაგროვილი სქელი, შავი ნისლი.

**თარაზულად:** 1. პოპულარული ზღვისპირა კურორტი ნეაპოლის ყურეში; 6. სულიერი დაძაბუნებით გამოწვეული ავადმყოფური მდგომარეობა; 7. მწერი განვითარების ერთ-ერთ სტადიაში; 10. სახელმწიფო კუნძულებზე კარიბის ზღვაში; 11. ჩინური ფინიკი; 13. სისხლისა და ლიმფისაგან დამზადებული, ინფექციური დაავადების საწინააღმდეგო პრეპარატი; 14. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი, ერაყის ნავსადგური; 16. მუზეუმი ლოს-ანჟელესში; 17. ერთი ან რამდენიმე ბგერის მოკვეცა სიტყვის ბოლოში; 18. ძვლების ანთება.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

